ეროვნული
ბიბლიოთეკა




# დროშა

ივლისი
№ 7 1977 წ.







ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამთომაშველნი

მ. დათიკაშვილისა და
ა. მაჭავარიანის
ფოტო

(ტექსტი იხილეთ ჟურნალის მე-4 გვერდზე)





# ერთსულოვნად ვიწონებთ!

●

უდიდესი სიხარულით აგვავსო ცნობამ იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

პარტიისა და ხალხის აღიარებული ლიდერი, მშვიდობის დაცვისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ამიერიდან ჩვენი ძლევამოსილი სახელმწიფოს მეთაურიც არის.

თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა, რომ ახლა მეტი მონდომებით ვიბრძოლოთ, შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით შევეგებოთ დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წლისთავს.

**უშანგი გურგენიძე,**

„თბილისის ჩარხმშენებლობის საწარმოო გაერთიანება", სახეხი ჩარხების ქარხნის ამწყობი-ზეინკალი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი.

●

საქართველოს პედაგოგები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდად გაახარა მოსკოვიდან მოსულმა ცნობამ: უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად აირჩია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილება, ჩვენი რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ერთსულოვან მოწონებას იწვევს, აღაფრთოვანებს მათ, რათა კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

**ლამარა მარგველაშვილი,**

თბილისის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

●

ჩვენი რესპუბლიკის მრავალეროვანი მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდ სიხარულს განიცდიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე.

ლენინის საქმის ერთგულმა გამგრძელებელმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა უსაზღვრო სიყვარული და ღრმა პატივისცემა მოიპოვა მშრომელთა გულებში.

გვიხარია და გვეამაყება, რომ გვყავს ადამიანი, რომელიც მთელ თავის ნიჭს, უშრეტ ენერგიას, პოლიტიკურ სიბრძნეს მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე შეუნელებელ ზრუნვას, კომუნიზმის გამარჯვებას, მსოფლიოში მშვიდობის დაცვის წმინდა საქმეს ახმარს.

**ელენე პეტრიჩენკო,**

თბილისის მე-80 ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

25063



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი

**ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ნიაზბეკოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1977 წლის 16 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი შთაგონების წყარო

## ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

ჩვენ ახალი კონსტიტუციის განხილვას ვიწყებთ პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით დაძაბულად მუშაობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. საყოველთაო-სახალხო განხილვა ხელს შეუწყობს ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ გააქტიურებას. მან ხალხში უნდა გამოაღვიძოს ახალი შემოქმედებითი ძალები, მიანიჭოს სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი გაქანება, აამაღლოს თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის.

**ლ. ი. ბრეჟნევი**

●

საბჭოთა კონსტიტუცია საბჭოთა ადამიანის ყველაზე დიდი წიგნია, რომლის შექმნაშიც მასაც მიუძღვის მონაწილეობა, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე და იგიც ამ წიგნის თანაავტორია. საბჭოთა კონსტიტუცია საბჭოთა ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა კანონად დადასტურების წიგნია; საბჭოთა კონსტიტუცია საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულების პროგრამაა სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან; საზოგადოებაში მისი ადგილის მონახვის პროგრამა, მთელი მისი არსებობის პროგრამა და ბოლოს საბჭოთა კონსტიტუცია უმაღლესი იარაღია საბჭოთა ადამიანის ხელში ქვეყნად ლენინური ნორმების განუხრელად გატარების საქმეში.

საბჭოთა ადამიანი ღრმად და საფუძვლიანად უნდა იცნობდეს თავისი ცხოვრების კანონს, თავისი ცხოვრების უპირველეს წიგნს, საბჭოთა ადამიანის სრული პოლიტიკური სიმწიფის დონეზე.

**ირაკლი აბაშიძე,**
პოეტი-აკადემიკოსი.

●

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი მუხლი ჩვენი სამშობლოს შემდგომი წინსვლისა და ადამიანებზე შეუნელებელი ზრუნვის ნათელი გამოხატულებაა.

ახალი კონსტიტუციის პროექტმა სადღესასწაულოდ ბევრი რამ აუცილებელი და უაღრესად საჭირო სიახლე წამოაყენა ჩვენს ცხოვრებაში.

პროექტი ასზოგადებს საბჭოთა ისტორიის მთელ კონსტიტუციურ გამოცდილებას და ამდიდრებს მას ახალი შინაარსით, რომელიც თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებებს შეესაბამება.

ამ ახლის მთავარი მიმართულება, რომელსაც პროექტი შეიცავს, არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება.

პროექტში ნათლად არის განსაზღვრული მასებთან საბჭოების, მათი დეპუტატების კავშირის განმტკიცების გზები.

მნიშვნელოვნად გამდიდრდა კონსტიტუციის პროექტის დებულებები საბჭოთა მოქალაქეების უფლებების შესახებ. გაღრმავდა, განვითარდა და გაფართოვდა დებულებები კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ, რომლებიც მშრომელებს ეხება.

ახალი კონსტიტუციის პროექტში უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პროექტში მკაფიოდ აისახა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება...

ყველა სიახლე მისასალმებელია! ჩემს ხმას ვუერთებ მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ახალი კონსტიტუციის მიღება უფრო ფართოდ და ნათლად გაგვიკაფავს გზას კომუნიზმისაკენ.

**შოთა ფირცხალავა,**
კიროვის სახელობის ჩაისსაშენებელი ქარხნის ხარატი, სოციალისტური შრომის გმირი.

●

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტი ასახავს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც გმირმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვა განვლილი სამოცი წლის მანძილზე სოციალიზმის მშენებლობაში, შრომით ფრონტზე და ყველა ჯურის რეაქციულ ძალებთან ბრძოლის ფრონტზე.

საბჭოთა კონსტიტუციის პროექტში დაკანონებულია ყველა რასის, ეროვნების, სქესის, რელიგიური რწმენის, კეთილი ნების ადამიანების თანასწორუფლებიანობა; აღიარებულია ადამიანის უფლება შრომაზე, დასვენებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სწავლა-განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე.

ყოველივე ეს იმდენად შევიდა საბჭოთა ადამიანების ყოფაში, ყოველივე ამას იმდენად შევეჩვიეთ, რომ ბევრ რამეს აღვიქვამთ როგორც ჩვეულებრივს, ბუნებრივს, თავისთავად ცხადსა და ლოგიკურს. მაგრამ საბჭოთა კონსტიტუცია ბევრ რამეს გვავალებს. პირველ რიგში, ვიყოთ ამ მაღალი პრინციპების მოწოდების სიმაღლეზე, ვიყოთ კომუნიზმის ღირსეული მშენებლები.

**ნინო ჯავახიშვილი,**
სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

●

ამას წინათ კაპიტალისტურ ქვეყნებში ტურისტული მოგზაურობიდან მშობლიურ სოხუმში დავბრუნდი. მეორე დღეს პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

პროექტის გულდასმით გაცნობამ ერთხელ კიდევ ნათლად დამანახა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ როგორ იზარდა და ამაღლდა ჩემი სოციალისტური სამშობლო. უცხოეთიდან დაბრუნებულმა ახალი კონსტიტუციის პროექტის თითოეული მუხლის კითხვის დროს უდიდესი სიხარული და სიამაყე განვიცადე. დიახ, მეამაყებოდა, რომ საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე, რომ ჩემს სამშობლოში, კაპიტალისტურ სამყაროსგან განსხვავებით, ყველაფერი მხოლოდ მშრომელთა სიკეთისა და ბედნიერებისათვის კეთდება!

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ახალ სტიმულს გვაძლევს, უფრო გვრაზმავს, შრომითი მიღწევებისათვის აღგვაფრთოვანებს.

„სოხუმხელსაწყოს“ ქარხანაში ელექტრომემონტაჟედ ვმუშაობ. ჩვენი საამქრო კომუნისტური შრომის ერთ-ერთი მოწინავე საამქროა. ინტერნაციონალურ მუშათა კოლექტივში ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონეთ და მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ ყოველდღიურად უფრო მეტი მონდომებით ვიმრომოთ, მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია დავამზადოთ.

ეს იქნება ჩვენი საჩუქარი სამშობლოსათვის, დიდი ლენინის იდეებით გაცისკროვნებული ქვეყნისათვის, რომელსაც საამაყო, ნათელი, მშრომელი ხალხის გულისთქმის, მისი ინტერესების დამცველი და განმტკიცებელი ახალი კონსტიტუცია ექნება!

**ლამარა ცუშბა,**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

●

მშრომელი კაცის ოჯახში დავიბადე. საბჭოთა ხელისუფლებამ საშუალება მომცა, ალალი შრომით ცხოვრების ფართო და ნათელ გზაზე გამოვსულიყავი.

ყველაფერი, რასაც მივაღწიე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარმა მომანიჭა. ამიტომაც არის, ასე რომ მიხარებს გულს ჩემი ხალხის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა სახელმწიფოს გიგანტური ნაბიჯებით წინსვლა.

ჩვენი შეუფერხებელი წინსვლის კიდევ ერთი ჭეშმარიტი დადასტურებაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მხურვალე მოწონებასა და მშრომელთა საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანებას იმსახურებს.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად დიდი მადლობა მინდა მივუძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმისთვისაც, რომ ძირითადი კანონის პროექტში საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს მიზნად კომუნიზმის აშენებაა გამოცხადებული.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ყველა მშრომელს კიდევ უფრო თავდადებული შრომისაკენ უხმობს.

**აკაკი კენკებაშვილი,**
თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ლენინის ორდენის კავალერი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

მიმდინარე წლის 4 ივნისმა უდიდესი სიხარული მოუტანა მთელ საბჭოთა ხალხს, მთელ მოწინავე კაცობრიობას — ამ დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ წარმოადგინა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოსატანად. კონსტიტუციის პროექტის შედგენა-შემუშავება ხორციელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით. ამ ისტორიულ დოკუმენტში ნათლად აისახა საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული მონაპოვრები, მისი ბრწყინვალე გამარჯვებანი ყველა უბანზე; მასში მოცემულია გამარჯვებული სოციალიზმის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის მთლიანი სურათი; ყოველი სტრიქონი, ყოველი წინადადება აქ გამსჭვალულია ლენინური სიბრძნით, ლენინური ზრუნვით ხალხის ინტერესებზე.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი იუწყება, რომ ჩვენი სამშობლო, ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი, არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს. სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას სახალხო დეპუტატების არჩევითი ორგანოების მეშვეობით.

პროექტი შეიცავს დიდმნიშვნელოვან მუხლს იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია; პარტია არსებობს ხალხისათვის და ემსახურება ხალხს. კონსტიტუციის პროექტში ასახულია საბჭოთა ხალხების ძლევამოსილი ოჯახის განუხრელი წინსვლელობა ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ. ხალხთა ამ დიადი და ისტორიაში მანამდე არნახული კავშირის მთელი სიდიადის, სიმტკიცისა და ერთიანობის, სიბრძნისა და სიკეთის შესანიშნავი და მართალი გამოხატულებაა. უზუსტესი სარკეა პროექტი კონსტიტუციისა; ეს არის განუზომელი მნიშვნელობის დოკუმენტი — მის სტრიქონებში ლაპარაკობს ხალხთა ისტორია და აწმყო, მის სტრიქონებში ჩანს, თუ რა დიადი და მშვენიერი ნაყოფი მოიტანა მილიონების თავდადებულმა ბრძოლამ და შრომამ ათეული და ასეული წლების მანძილზე.

ხალხთა რამდენ ნატვრას, რამდენ ოცნებას, რამდენ დაუცხრომელ მისწრაფებას ფრთა შეასხა, სინამდვილედ აქცია საბჭოთა კონსტიტუციამ. ერთი მთავარი ამ მისწრაფებათა და საუკუნოვან ოცნებათა შორის ხალხების ძმობა იყო.

მეგობრობა, ძმობა, სიყვარული — ეს იყო ოცნება ადამიანებისა, ხალხებისა, მთელი კაცობრიობისა. ორი ათას ხამასი წლის წინ თქვა ანტიკური ეპოქის პოეტმა — „ბედნიერია ის, ვისაც ნამდვილი მეგობრობის ჩრდილი მაინც უნახავს“. ხოლო უძველეს ქართულ ხალხურ თქმულებაში ნათქვამია — „მეზობელი ამომავალი მზეა, მეგობარი ნახე რა იქნება“.

გადიოდა საუკუნეები, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ, სისხლისაგან იცლებოდნენ ხალხები, ვიდრე დადგებოდა დღე, როცა დაიწერებოდა და დაიდებოდა ყველაზე დიადი და ისტორიული ფიცი, რომელიც ხალხთა ძმობას ისტორიის კანონად აქცევდა. ეს იყო დღე, როცა შეიქმნა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი.

ეს ფიცი დაიდო ამ ექვსი ათეული წლის წინ, ლენინმა და ლენინის პარტიამ დაიფიცეს ხალხები ძმობაზე და ეს ძმადშეფიცვა ისეთი უძლეველი გამოდგა, რომ მან გაუძლო ყველაზე დიდსა და საშინელ ქარტეხილებს, ყველაზე ძლიერი მტრების შემოსევებს, ჩვენმა სამშობლომ ისტორიაში უმაგალითო განსაცდელებს გაუძლო.

ღრმაშინაარსიანი და წარმტაცია ცხოვრება ხალხთა ამ დიდი ოჯახისა. აქ ერთი ძმის სიმდიდრე — მეორის სიმდიდრეც არის, ერთის სილამაზე — მეორესაც შუქს აყენებს, ერთის სიბრძნე — მეორესაც მაღლა სწევს, ერთის ლექსი — მეორესაც გულს უთრთოლებს, ერთის დედა ენას — მეორეც პატივსა სცემს....

საბჭოთა ქვეყანა მტკიცე და ურღვევია იმიტომ, რომ მას საფუძვლად ხალხების ერთი მეორისადმი სიყვარული და პატივისცემა უძევს. ამაზე ნათლად მეტყველებს პროექტი ახალი საბჭოთა კონსტიტუციისა.

კონსტიტუციის პროექტში, ორ ადგილას — ოცდამეთექვსმეტე და ორმოცდამეხუთე მუხლებში ხაზგასმულია დედა ენის მნიშვნელობა ყოველი ერის ცხოვრებაში; და ეს იმიტომ, რომ ენა — ყველაზე უძვირფასესი საუნჯეა ყოველი ხალხისათვის.

საბჭოთა მოქალაქე უნდა აღიზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით — გვაუწყებს კონსტიტუციის პროექტი. მთელი ეს დოკუმენტი, პირველიდან ბოლო სტრიქონამდე, გამსჭვალულია ხალხთა ძმობის, ერების სრული თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება, — კანონით ისჯება.

კონსტიტუციის პროექტი შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უაღრესად ფართო სპექტრს: ეს არის შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის მიღწევების გამოყენების, მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების უფლებები; ეს არის სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლებები. „რა თქმა უნდა, ამხანაგებო, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი მაისის პლენუმზე — კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება და არ უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის ინტერესების საზიანოდ“.

ჩვენს ხალხს პროექტი მიაჩნია იმის ნათელ დადასტურებად, თუ რამდენ ზრუნავს ლენინური პარტია საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, მისი ძლიერების და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე აღნიშნა: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში, იგი ჩვენი ლენინური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი გახდება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, და ამასთანავე თავისუფლების, კაცობრიობის პროგრესის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში“.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო მხოლოდ სამოცი წლისაა, მაგრამ ამ წლების მანძილზე ჩვენ საუკუნეების ტოლი გზა გავიარეთ, — აღნიშნავდა „პრავდა“ ამ დღეებში. სამოც წელში ჩაეტიენ საუკუნეები, ჩაეტიენ ეპოქალური გამარჯვებანი, მოხდა ულრმესი ცვლილებები, ჩვენ მივაღწიეთ სოციალური და კულტურული პროგრესის უმაღლეს საფეხურს — აი რაზე მეტყველებს კონსტიტუციის ახალი პროექტი.

**გიორგი ნატროშვილი**

# ლექსები

მიხეილ სვეტლოვი,
ლენინური პრემიის ლაურეატი

## სადღეგრძელო

მუდამ ვინახავ ჩემს სახელს წმინდად,
მაქვს შეგნებაც და გამბედაობაც...
ძმებო, მითხარით, აბა, რად მინდა,
რომ გადავიქცე არარაობად.
ანდა სიცოცხლე ვარგუნო მიწას,
მას მივებარო ვინატრებ განა?
უსულო საგნის გახდომა მიყვარს
სიცოცხლით სავსე სულიერ საგნად!
აი, მეთევზის ნავს ტალღა არწევს, —
და ნაპირისკენ ნავი გზას კაფავს..
შეთხზავ სიმღერას, ანდა ლექსს
დაწერ —
გამოცოცხლდება მდინარე სწრაფად.
რაზე საუბრობს ხშირი ტყე, ნეტავ?
ჩვენ სასწაულებს ვაჩვენებთ ტყესაც
და იგი ლხენით ალვსილი მეტად,
უმღერებს მინდვრებს და ნათელ
დღესა.
ან მებრძოლს ლექსზე უარი ეთქმის?
მის გულში მარად სიმღერა არი,
ჰანგს არ სჭირდება წმენდა და
ზეთვა —
სიმღერას მუდამ ღია აქვს კარი.
ძველი ნახავსი არ დაიბედოთ,
არც მყუდრო ფსკერზე ინატროთ
წოლა,
გაჰყევი ჩემი სიცოცხლის წვეთო,
კომუნისტური ტალღების სრბოლას!
აბა, მხურვალე ვთქვათ
· სადღეგრძელო,
ჭაბუკთა ნატვრა ყველას ვარჩიოთ,
ულექსოდ ყოფნა ძნელია, ძმებო,
ხედავთ, პოეტიც არის საჭირო!

თარგმნა ვასილ ლაფერაშვილმა.

შოთა ხოდაშნელი

## მირზა გელოვანს

მარადჭაბუკო პოეტო, მენდე,
ვწუხვარ, პირადად ვერ გეფერები.
ხომ ირიყრაყა ოცი წლის შემდეგ,
შენი ლექსების ლურჯი ფერებით.

შენებრ მართალი და ხელუხლები,
ეწყო ეგ შენი ნამოღვაწარი...
და მონადირის სალი მუხლებით
მრავალ შემოქმედს გადაასწარი.

და შენი სიტყვა კაცის გულს ათბობს,
ქართული ლექსით მირონცხებულო.
უფროსო ძმაო, ალალო კაცო,
დღეს ბევრის გულში დასახლებულო.

გაქვს სიყვარული საალსარებო
და საყვარელი ლექსის კილოცა.
სამყაროს ვუმზერთ შენი თვალებით
და დაბადების დღესაც გილოცავთ.

ვერ შეგხვდი ვერსად, აქ მოგისწარი.
ეს იმედები რად კიაფობენ?
ლექსის ტაძარში წკრიალებს ზარი,
შენ რომ დაჰკიდე და მიატოვე...

გიორგი გიგაური

## ლაშარის გორზე

ლაშარის გორზე მოჯარდა ხალხი,
არის დღეობა —
მწყემსის,
მწველავის,
და მოაქროლებს ეუვნიან მარხილს
რწმენა —
მომავლის გზათა მზვერავი.

უღრანს უღრუბლო ზეცა ახურავს,
ზეცა —
ფშაველი ქალის თავშალი,
ვერვინ იგულა თავის მსახურად
და ხევში ოხრავს ნიში ლაშარის.

ბიჭები მოლზე აფენენ ნაბდებს,
ხემსზე უხმობენ ლხინში ამყოლებს,
აგერ ლამაზმაც ისროლა ბადე,
ნეტავ, ბადეში ვის მოაყოლებს?!

ჯმუხა სარქლებმა
ლექსით,
შაირით,
შეაჟრიალეს მთათა ფრიალო,
იორზე ისე არვინ ჩაივლის,
ამ დიდ სიხარულს არ ეზიაროს.

სიმღერის ექო ედება ხრამებს,
ღვინით ივსება
მათარა,
ქოცო,
ტყიდან კუსავით მოცოცავს ღამე
და ფიჩხს უმატებს მწყემსების
კოცონს...

## სიკეთე არ დაიშურო

მშფოთვარეო ჩემო სულო,
გაწყვეტილო აპეურო,
სურვილებით დაისრულო,
ყვავილებში ჩაბნეულო,
ამშვენებავ მაისურო,
ხელთუქმნელო განძეულო,
იქნებ, ფიქრი აიხრულო,
ფიქრით ღამეგათეულო.

იქნებ, გული დაიამო,
სევდის კარი გამოკეტო,
მთა და ბარი დაიარო,
შეიძინო სამოკეთო,
სიმღერები საიალნო
ლექსის ფრთაზე ამოკვეთო,
სიტყვა გაახვავიანო
და მოყვრისთვის გაიმეტო.

სიკეთისთვის სასიკეთო
არასოდეს დაიშურო,
არ გაწირო უიმედო,
არც არამი არ ისურვო.
წინაპართა სისხლის წვეთო,
შევარდნების შარიშურო,
ჩემო ხატო,
ჩემო ღმერთო,
მშფოთვარეო ჩემო სულო!

# სამთომაშველნი

მანგანუმი ერთ-ერთი აუცილებელი ნედლეულია მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სასარგებლო წიაღისეულიდან მანგანუმს პირველი ადგილი უკავია. ჭიათურის მანგანუმის საბადო ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში და თავისი ხარისხით ტოლს არ უდებს ინდოეთის, ბრაზილიისა და ოქროს სანაპიროს ცნობილ მანგანუმის მადნებს.

ჭიათურის მადნის საბადო 1846 წელს აღმოაჩინეს. 1876 წელს, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის თაოსნობით, პირველად განხორციელდა წიაღიდან მანგანუმის მადნის ამოღება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჭიათურის მანგანუმის მოპოვებას, ახალი სამრეწველო მარაგის დადგენას, მანგანუმის კონცენტრატის ხარისხის გაუმჯობესებას, მის ფართოდ და რაციონალურად გამოყენებას...

ყოველწლიურად უმჯობესდება მადნის მოპოვების ტექნოლოგია, მეტი რაოდენობით ეგზავნება იგი ჩვენს სახალხო მეურნეობას, იზრდება ქართული მანგანუმის საექსპორტო მნიშვნელობაც.

მანგანუმის მადნის მომპოვებელთა მშვიდი და უსაფრთხო მუშაობისათვის დღე და ღამე თავგამოდებით იღწვიან სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ჭიათურის გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის წევრები.

მათი უპირველესი მოვალეობაა დაიცვან პროფილაქტიკა, დაამყარონ სანიმუშო დისციპლინა, აღკვეთონ შესაძლო ავარიები, მიწისქვეშა ხანძრები, ჰაერის დაგაზიანება...

რაზმის წევრები სრულყოფილად ფლობენ მიწისქვეშა ავარიებისა და ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკას; ისინი მეხანძრეებიც არიან, ალპინისტებიც, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ დაუყოვნებლივ გაჩნდნენ შემთხვევის ადგილზე და გაბედულად იბრძოლონ ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად.

იმ საერთო წარმატებაში, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მოიპოვა ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ლენინის ორდენოსანმა კოლექტივმა, რა თქმა უნდა, თავიანთი დიდი და ღირსეული წვლილი აქვთ შეტანილი სამთომაშველი რაზმის წევრებსაც.

ეთერ მაჭავარიანი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (487) ივლისი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1977.



მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით ხეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი

# იუბილარი

საქორწილო სუფრა გაიშალა.

თავის ქალიშვილ ნინოს ათხოვებდა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

როცა ფეხზე წამომდგარმა თამადამ ჯიხვის ყანწით ნეფე-დედოფლის დღეგრძელობა მოინება, გენერლის ჩინ-მედლებით ალკაზმულმა თავადმა ჭავჭავაძემ ბრძანა, ხორაგით დაზვინულ სუფრაზე ქორწილისათვის საგანგებოდ შემონახული თავანკარა ღვინო შემოეტანათ.

ჩვიდმეტი წლის წინათ — როცა ქალიშვილი ნინო შეეძინა — გახარებულმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ეს თავანკარა ღვინო საკუთარი ხელით ჩაასხა წინანდილს ერთ-ერთ ვეება ქვევრში.

შემოიტანეს ღვინო. აავსეს ყანწები და თასები, ყელყელა კულები და მოხევადებული აზარფეშები, მუცელა ჯამები და მოოჭვილი ჯამ-ჯამფილები...

თამადამ ადღეგრძელა ნეფე-პატარძალი! მამამ დალოცა შვილი და სიძე! ფიჭათაფლივით ერთმანეთთან ტკბილად შებერება უსურვეს ფეხზე წამომდგარმა სტუმრებმა ახალდაწყვილებულებს!

ნეტა რა ღვინით დაილია ჩვიდმეტი წლის პატარძლის — ულამაზესი ნინო ჭავჭავაძის სადღეგრძელო? რა ღვინით შეისვა ქართველთა სიძის — დიდი რუსი ხალხის უკვდავი შვილის გრიბოედოვის სადღეგრძელო?

ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე ჭავჭავაძეს და ქორწილზე თავშეყრილ სტუმრებს — ჩვიდმეტი წლის წინათ საგანგებოდ დაყენებული ღვინის დამჭაშნიკებლებს შეეძლოთ!



ეს კია, ჭავჭავაძეთა წინანდლისეული მამულის ღვინის ქებათა-ქება დღემდე შემოგვინახა ქართულმა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ:

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო:
მუხრან ბატონი ყმად მომცა,
კახის ბატონის ბინაო
და ღვინო ჭავჭავაძისა
მილით შინ მამადინაო!

●

ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი დროის ჩინებული მეურნეც იყო.

საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში პირველად სწორედ ალექსანდრემ მოაწყო არყის ორთქლით სახდელი ქარხანა, თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გახსნა ღვინის სარდაფები, კახური წესით დაყენებული ღვინით რუსეთში სახელი გაუთქვა ჩვენებურ ვაზსა და ღვინოს.

ალბათ სწორედ სიმამრის ღვინის საამო ბუკეტმა და მისმა არომატმა ათქმევინა ა. გრიბოედოვს თავისი ცნობილი სიტყვები:

— კახეთის ღვინოს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს უცხოეთის ღვინოს, შეავიწროოს და განდევნოს რუსეთის ბაზრიდან.

ასეც მოხდა. 1892 წელს გაზეთი „ივერია" წერდა, რომ წინანდლიდან რუსეთის მეფის სასახლეში 1.500 კასრი კახური ღვინო წაიღეს, ხელმწიფისათვის საჭირო ღვინოები კი წინათ მხოლოდ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟიშვილი დავითი, რომელიც ცუდად ერკვეოდა სამეურნეო საკითხებში, იძულებული გახდა წინანდლის, მუკუზნისა და ნაფარეულის მამულები „საუფლისწულო მამულების უწყებისათვის" მიეყიდა.

ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თბილისში სათანადო ტექნიკით აღჭურვილი ღვინის მძლავრი ქარხნის აშენებას, რომელიც ძირითადად მაღალხარისხოვანი ღვინოების გამოსამუშავებად იყო გამიზნული.

„საუფლისწულო მამულების უწყებამ" ვაჭარ პ. მაკაროვისაგან თბილისში, დღევანდელი პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისთან, „ერთი დესეტინა და 1.100 კვადრატული საჟენი" მიწის ფართობი შეიძინა და ღვინის ქარხნის მშენებლობა წამოიწყო.

ქარხნის პროექტი ინჟინერ-არქიტექტორმა ა. ოზეროვმა შეადგინა. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა ცნობილი მეღვინე-სპეციალისტი გ. გოგოლ-იანოვსკი, რომელიც შემდეგ ახლად აშენებული ღვინის ქარხნის პირველ გამგედ დაინიშნა.

## ღვინო ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნის მშენებლობა 1894 წელს დაიწყო და 1896 წელს დამთავრდა.

თბილისის ღვინის ქარხანამ, რომლის წლიური სიმძლავრე 80.000 დეკალიტრი იყო, თავისი პირველი პროდუქცია 80 წლის წინათ — 1897 წელს გამოუშვა.

●

ქართველმა ხალხმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ავბედით გზაზე სათუთად შემოინახა ვაზისა და ღვინის სიყვარული, დავიწყებას არ მისცა უნივერსალური ვაზის ჯიშების მოვლა-პატრონობის მამაპაპური მდიდარი ტრადიციები, ქართული ღვინის დაყენების ორიგინალური, დახვეწილი და სრულყოფილი ტექნოლოგია.

საქართველოში ოდითგანვე მისდევდნენ მაღალგანვითარებულ მევენახეობა-მეღვინეობას. ამას მეტყველებს არა მარტო ანტიკური ეპოქის სხვადასხვა ავტორთა და უცხოელ მოგზაურთა შემორჩენილი ჩანაწერები, ამას ღაღადებს არა მარტო ზეპირი გადმოცემები და საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით მიკვლეული უამრავი თვალსაჩინო მასალა, არამედ, პირველ რიგში, ქართველი კაცის ბუნება!

აი სწორედ ამ ბუნებაში ვლინდება ის დიდი სიყვარული და მისათუთება, ცოდნა და გამოცდილება, ვაზისა და ღვინისადმი ის განუზომელი პატივისცემა და დაფასება, რომელიც შორეული წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოეცემოდა ჩვენ ერს.

საქართველო მსოფლიოში განუმეორებელი ქვეყანაა, სადაც ვაზის 500-მდე აბორიგენული ძვირფასი ჯიშია გავრცელებული!

აი სწორედ ყოველივე ამას, ღრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, თითოეული ფაქტის დეტალურ გაანალიზებას ეყრდნობოდნენ გამოჩენილი სწავლულები: კოხი, შოუ, მენდელეევი, ვავილოვი, ჯავახიშვილი და სხვები, როცა თავიანთ შრომებში ვაზის სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევდნენ.

●

დროთა განმავლობაში დაკნინებული ქართული მეღვინეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ იწყებს აღორძინებას.

მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარება ფართო საზოგადოებრივი დაინ-

## ასე უთქვამთ ქართულ ღვინოზე

ღვინო საქართველოში ბევრია და კარგად აყენებენ ქვევრებში.

ქსენოფონტე,

ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი.

ქართლში და კახეთში ვენახი ბევრია, იბარება და ისხვლება.

სტრაბონი,

ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი.

მსოფლიოში არ არსებობს მეორე მხარე, სადაც სვამდნენ ასე საუცხოო ღვინოს, როგორც საქართველოში.

შარდენი,

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური.

ღმერთმა ქართველ მსმელებს კახური ღვინო მისცა, ესე იგი საუცხოო ღვინო...

ალექსანდრე დიუმა (მამა).

დედამიწაზე თუ კი არსებობს რაიონი, სადაც მევენახეობა განვითარებულია უძველეს დროიდან... საქართველოა.

პიერ ლერუა,

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს ყოფილი პრეზიდენტი.

ქართული ღვინოები მზიანია, ძარღვებში ადამიანს ცეცხლს წაუკიდებს.

გ. დელმასო,

ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი.

# ღვინო ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესებისა და გაცხოველებული მსჯელობის საგანი ხდება.

ქართველი მეღვინეები, თავიანთ საქმეზე შეყვარებული სპეციალისტები: ა. ჯორჯაძე, ზ. სარაჯიშვილი, მ. პეტრიაშვილი, ზ. თარხნიშვილი და სხვები თავგამოდებით იღწვიან ჩვენი ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისა და მსოფლიო საერთაშორისო არენაზე მისი პოპულარობის ამაღლებისათვის.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მძლავრი და მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნებული აღმავლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

სწრაფად დაიწყო გაფართოება ჩვენი ღვინოების ასორტიმენტმა, დაიხვეწა ღვინის დაყენების ტექნოლოგია, ამაღლდა მათი ხარისხი. ქართულმა ღვინოებმა საიმედოდ შეაბიჯეს საერთაშორისო ბაზრებზე.

ამ საერთო-ეროვნულ საქმეში თავისი დიდი და საპატიო წვლილი შეიტანა თბილისის ღვინის პირველმა ქარხანამაც.

ეს ქარხანა საქართველოში მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. ქარხანაში იკითხებოდა ლექციები ახლად დაარსებული აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მეღვინეობის საკითხებზე, აქ, ამ ქარხნის კედლებში მოეწყო ქართული ღვინოების პირველი ოფიციალური დეგუსტაცია, აქ ეწყობოდა საქმიანი საუბრები მეღვინეობის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

ქარხანა მეღვინეობის ყველა საერთაშორისო კონკურსისა და გამოფენის მონაწილეა. აქ ჩამოსხმულ ღვინოებს დღემდე 150 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები აქვს მიღებული.

თბილისის ღვინის პირველ ქარხანას რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა „კომუნისტური შრომის საწარმოს" წოდება. წლების მანძილზე თავდადებული შრომისათვის ბევრჯერ დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები, დიპლომები და მედლები.

აი ამიტომაც არის, რომ ამ საჩინო ქარხანას, სრულიად სამართლიანად, ქართული მეღვინეობის სავანეს უწოდებენ!

ქარხანა ამჟამად წელიწადში 600.000 დეკალიტრ ღვინოს უშვებს. ხუთწლედის ბოლოს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდება და მეტ სიამოვნებას, სიხალისეს, სიმხნევეს შემატებს მომხმარებლებს.

80 წლის იუბილარი ქარხანა, რომელიც 1974 წლიდან „სამტრესტის" საწარმოო გაერთიანება „თბილღვინოს" სისტემაში შედის და წარმოება № 1-ად იწოდება, ახალი შრომითი მიღწევებით ეგებება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

●

ღვინის ქარხნის ერთ-ერთი მშვენება და უნიკალური განძია მისი ღვინოების ბიბლიოთეკა-ენოთეკა.

საბჭოთა კავშირში ეს უძველესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკა-ენოთეკა ქარხნის დაარსების დღიდან თანდათან იზრდებოდა და მდიდრდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის და კლასიკური მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნების იშვიათი ნიმუშებით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბიბლიოთეკისათვის ძვირფასი შენამატი იყო მეფისნაცვლის სასახლისა და რომანოვების ლიკანის სასახლის საზღვარგარეთული ღვინოების მდიდარი კოლექციები, რომლებიც ქარხნის გამგებლობაში გადავიდა.

ბიბლიოთეკაში ამჟამად ინახება 1.600 დასახელების სხვადასხვა წლის მოსავლის 140.000 ბოთლი სასმელი. ესენია სუფრის შემაგრებული და სადესერტო ღვინოები, კონიაკები, ლიქიორები, შამპანური და სხვა ალკოჰოლური სასმელები.

შეხვალთ მყუდრო, სათანადო ტემპერატურით დაცულ ბიბლიოთეკა-ენოთეკაში და თქვენს თვალწინ ნათლად ცოცხლდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თაროებზე ჩალაგებული წარსული.

აი რუსული არაყი. მისი ხნოვანება... 300 წელია! მასზე უმცროსი გახლავთ 200 წლის პოლონური არაყი „თაფლი"; კიდევ უფრო „ახალგაზრდად" გამოიყურება ნაპოლეონ ბონაპარტეს დროინდელი ფრანგული კონიაკი...

„შატო-ლაფიტის" მარკის ღვინო 1775 წელს არის ჩამოსხმული, „შატო-ლატური" — 1805 წელს, „რომანე-კონტი" — 1865 წელს, „ერმიტაჟი" — 1897 წელს...

ბიბლიოთეკა-ენოთეკაში ჩვენი ღვინოებიდან ყველაზე ძველი ნიმუშია 1878 წლის „წინანდალი", 1917 წელს ჩამოსხმული „ნაფარეული" 1914 წლის „თელიანი"...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

ყველგან და ყველაფერში იგრძნობა სითბო და გულითადობა, სიფაქიზე და შეუნელებელი ყურადღება, ის დიდი პასუხისმგებლობა, საქმისადმი უზომო სიყვარული, გატაცება, რითაც ქარხნის მთელი კოლექტივია გამსჭვალული.

ღვინის ქარხანაში ეს ბიბლიოთეკა-ენოთეკა გასართობად და თვალის სამებლად როდი შეუქმნიათ! საკოლექციო განყოფილებაში თავმოყრილი უნიკალური მარკის სასმელების ნიმუშები ერთგვარ სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს მეღვინეობის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად და გამოსარკვევად.

იგი მკაფიოდ ასახავს აგრეთვე საქართველოში ერთ-ერთი უძველესი, ჩვენი ხალხის უსაყვარლესი დარგების — მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებასაც.

●

დიდმა ილიამ ნადირობის მოყვარულ ადამიანს — ნადირობის ტრფიალი უწოდა.

ეს ვაჟკაცი ქართული მეღვინეობის ტრფიალია! ოცდაშვიდი წელიწადია ერთგულად და გულალალმართლად ემსახურება თავის ნათელ ტრფიალს.

დინჯი კაცია გივი ნიკოლაიშვილი, საწარმოო გაერთიანება „თბილღვინოს" გენერალური დირექტორი. დინჯი და უთქმელი. ჰკითხავთ ქართული ღვინის შესახებ და მაშინღა გააგრძელებს სიტყვას, უჩვეულო გატაცებითა და აღტყინებით, სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით გადმოგიშლით უკანასკნელ წლებში ჩვენი ქართული ღვინოების ტრიუმფალურ წინსვლას.

თავის შესახებ არაფერს ამბობს. არც არის საჭირო! მისი სახე და გულისთქმა მეტყველებს ყველაფერზე, თანამშრომლები გვეუბნებიან მის ქებას; საქმემან შენმა გამოგაჩინოსო და სწორედ საქმე გვეუბნება იმას, რასაც არ ამბობს უთქმელი გენერალური დირექტორი.

მობრძანდით, გაესაუბრეთ ქარხნის ლაბორატორიის გამგეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მეღვინეს ბაბულია ყარამანიშვილს და ერთხელ კიდევ ნათელი გახდება თქვენთვის როგორი შემწე, როგორი დამცველი, როგორი ერთგული, მოსიყვარულე, საქმის მცოდნე და მოამაგე ადამიანები ემსახურებიან საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართულ სამარკო ღვინოებს.

სწორედ ქარხნის მთავარი მეღვინის გიოზ ბერიძის, წარმოების უფროსის ლევან დემეტრაძის, ღვინის გასაღების საამქროს უფროსის მარგო ცინცაძის, მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის დიდი წვლილიც არის იმაში, რომ ჩვენმა ღვინოებმა ასეთი საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მსოფლიოში.

ქართულ სუფრაზე რაც უნდა ცოტა ღვინო ჰქონდეთ, სათქმელი მაინც ითქმება! გამოცდილ თამადას არც სადღეგრძელო შემოელევა და არც უდღეგრძელებელი დარჩება ვინმე.

მოდით, მივბაძოთ ასეთ თამადას! საჟურნალო წერილი ბევრს ვერ იტევს, მაგრამ ვისი დღეგრძელობაც აუცილებელია — სიყვარულით ვადღეგრძელოთ ყველა.

გავიხსენოთ და დავლოცოთ ამგვარი ადამიანები, ჩვენი სპეციალისტები, ქართული მეღვინეობის ტრფიალნი! ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცოდნით, შრომითა და მეცადინეობით კიდევ უფრო აღამაღლეს, კიდევ უფრო შორს გასტყორცნეს ქართული ღვინის სახელი!

ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები 80 წლის იუბილარს — ქართული მეღვინეობის სავანეს!

ალექსანდრე ჩიგოგიძე

## ასე უთქვამთ ქართულ ღვინოზე

კახური ღვინოები ხარისხით არ ჩამოუვარდებიან კარგ ფრანგულ ღვინოებს.

„ამიერკავკასიის მხარის სტატისტიკური აღწერა"
(გამოიცა 1835 წელს).

ბედნიერება იმ ბუნებას და დიდება იმ ხალხს, რომელმაც შეძლო მზის ენერგიის სასმისში მოქცევა და მისი მშრომელთა სასარგებლოდ და სახიხარულოდ გამოყენება.

მაქსიმ გორკი.

ქართული ღვინო საქვეყნოდ განთქმულია და ქართული ლექსივით ყოველთვის ამაყად უნდა იაროს მსოფლიოში.

მიხეილ შოლოხოვი.

ღვინოს მახარობელსა გულისა, ძველთაგანვე ელოლიავებოდნენ ქართველნი.

არსენ იყალთოელი,
XII საუკუნის ფილოსოფოსი.

ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა.

ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში! ალბათ ჩვენიდან არის ვაზი საერთოდ წასული და „ღვინო" ქართული სიტყვა უნდა იყოს, გადასული სხვა ენებში.

გიორგი ლეონიძე.











№ 1 წარმოების
ჩამომსხმელ საამქროში

გაერთიანება „თბილღვინოს“ გენერალური დირექტორი გივი ნიკოლაიშვილი (მარცხნივ), № 1 წარმოების ლაბორატორიის უფროსი ბაბულია ყარამნიშვილი და წარმოების უფროსი ლევან დემეტრაძე.

თარხან არჩვაძის ფოტო





# ახალგაზრდა მოქანდაკეები



თ. კიკალეიშვილი
ქალის პორტრეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჭუმბურიძე
კალიშვილის პორტრეტი.

ლ. ქველიძე
„გიორგობისთვე".



ა. თოფურიძე
„მოჭიდავე".



გ. შხვაცაბაია
„მოცეკვავე"



ანდრო ლომიძე

მოთხრობა



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

# უიღბლო კაპიტანი

სატვირთო გემი „ქობულეთის" ვერცხლისფერთმიანი, მკერდამობურცული, კუზიანი კაპიტანი გაბრიელ ჟორჟოლიანი და მისი უმცროსი ძმა დავითი კაიუტაში საუბრობდნენ.

— მაშ, მოსკოვს უნდა გაემგზავრო? თავს გაუფრთხილდი, — გაბრიელი მალიმალ სუნთქავდა, ხანდახან თითქოს კვნესოდა კიდეც.

— ხვალ გავემგზავრები. გემთშემკეთებელი ქარხნების დირექტორები მიგვიწვია მინისტრმა. შესაკეთებელი გემები, კატარღები ბლომადაა, შესაძლებლობა კი ჩვენს ქარხანას ძალზე ცოტა აქვს. ამას მოვახსენებ მინისტრს და ვთხოვ, დამეხმაროს. შენი დარდი მიმყვება. თავს გაუფრთხილდი. ექიმთან არ მიდიხარ. ნეკნებს შორის ჩირქი, ალბათ, უკვე დაგიგროვდა, მიდი ქირურგთან, ჩირქს მოგაშორებს, — მკვრივი, თვალსაცერა დავითი თვალს ვერ უსწორებდა ძმას; ხედავდა, გაბრიელის ჯანმრთელობა უარესდებოდა.

— ადამიანის სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, როცა ახალგაზრდა, ღონიერი ხარ და შეგიძლია ბრძოლა ადამიანის ბედნიერებისათვის, ოცნებობ ვარსკვლავებისკენ გაფრენაზე, ხიბლავ ლამაზმანებს და შენც იხიბლები, ღელავ და სხვასაც აღელვებ, სიკვდილზე ფიქრისათვის ვერ მოგიცლია, სადღაც შორს გეგულება. ხოლო როცა ჩემსავით დასნეულდები და სამოცს გადააბიჯებ, პენსიაზე გადადიო, გაძალებენ, დაკარგავ მშობლებს, მეგობრებს და თავადაც სიკვდილის წინაშე აღმოჩნდები, უეჭველად გაიფიქრებ: ჩემი სიცოცხლე უაზროა! ნეტავ მას, ვისაც შეუძლია ილუზიათა სისტემის შექმნა და თავის მოტყუება! თვითკმაყოფილნი და თვითდაჯერებულნი მხოლოდ სულელები არიან!

გაბრიელი კედელთან მიდგმულ კარადასთან კოჭლობით მივიდა. დავითმა ნაღვლიანი მზერა გააყოლა ძმის მაღალ ფეხებს, უზარმაზარ კუზს, ფართო, აწეულ მხრებში ჩამჯდარ თავს, კუშტად შეკრულ სახეს: „რომ არ დაკუზიანებულიყო, რამხელა ვაჟკაცი იქნებოდა!" — გულისტკივილით გაიფიქრა.

გაბრიელმა კარადიდან ფული გამოიღო, დაკეცა და ძმას ჯიბეში ჩაუდო. დავითს უნდოდა ეთქვა, არ მჭირდებაო, ვერ გაუბედა, იცოდა, ეწყინებოდა.

□

მატარებელში დავითი თავის თავს ემასლაათებოდა: განა მოსკოვს მივემგზავრები? ლენინგრადში მოვნახავ სახელგანთქმულ დასტაქარს და მოვახსენებ: ცხრა წლის ოინავარმა ბიჭმა მეზობელს ქვით ჩაუმტვრია ფანჯრის მინები. ძმამ სილა გამაწნა. გაბრაზებულმა მოვნახე ჩაქუჩი, მივეპარე ძმას და ზურგში მაგრად ჩავკარი. მას შემდეგ დაკუზიანდა, ნეკნებს შორის უჩირქდება, ავადმყოფობს...

შეღამებული იყო, როცა მახლობელ კუპეში ვიღაცამ გულიდან წამოსული ხმით წამოიწყო სევდიანი მეგრული სიმღერა „ნანა", სხვა კუპეებიც აჰყვნენ. თითქოს ადამიანები კი არა, შემოდგომის ქარიანი ღამე მოთქვამდა მიწაზე დაცვენილ უსიცოცხლო ფოთლებზე, თბილი ქვეყნებისკენ გაფრენილ მერცხლებზე...

პირაღმა მწოლარე თავქვეშ ხელამოდებული იგონებდა თავის ბავშვობას... მსოფლიოში მოდებულმა „ისპანკამ" ადრე დააობლა გაბრიელი და დავითი... გაბრიელი საზღვაო სასწავლებელს ამთავრებდა, დავითს კი ათი წელი უსრულდებოდა. გაბრიელი დღისით სწავლობდა, საღამოთი მტვირთავად მუშაობდა ნავსადგურში.

განათლებულ, მამაც კაპიტნად ითვლებოდა გაბრიელი და ბედი მაინც არ სწყალობდა. ერთხელ მეჩეჩზე დასვა გემი, მერე იაპონიის ნაპირებთან ტაიფუნმა გარიყა თბომავალი, რომელსაც გაბრიელი მეთაურობდა. გაბრიელი ოდესაში გაასამართლეს. შეურაცხყოფილი გაბრიელი განაჩენის გამოტანამდე გადახტა მესამე სართულიდან და დაიმტვრა. საავადმყოფოში დიდხანს იწვა. მაშინ დავითმა ურჩია: ბავშვი აღარა ხარ, ოჯახს მოეკიდე, გეყოლება მეგობარი, მომვლელი.

გაბრიელი რატომღაც გაუბრაზდა ძმას და ერთი თვის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა. ამის მიზეზი იმ ხანებში გაიგო დავითმა, როცა თავად აპირებდა ცოლის შერთვას. გაბრიელს ღამით თავის საწერ მაგიდასთან სკამზე ჩამოსძინებოდა, წინ გადაშლილი დღიური ედო. თურმე გაბრიელს უყვარდა მეზობელი თამარ საბაშვილი... გაბრიელს უთქვამს:

„— თამარ, ოცდაათი წელი შემისრულდა, უკვე შორეული ცურვის შტურმანი ვარ!

— მერე?!

— არა ვარ შენი ღირსი, მაგრამ...

— მე არც ყრუ ვარ და არც ბრმა, ყველაფერს ვხედავ და ვგრძნობ... მიყვარხარ როგორც ადამიანი, როგორც მამაკაცი კი სხვა მომწონს...

— ვიცოდი, ამას მეტყოდი, ჩემისთანა კუზიანი აბა რა მოსაწონია?"

ოცდათხუთმეტი წლის წინათ დაწერილი ეს სტრიქონები რომ წაიკითხა დავითმა, გული აუჩვილდა და თვალები დაენამა. უნდოდა, მხურვალედ ჩაეკოცნა ძმა და პატიება ეთხოვა, ვერ გაუბედა — უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებო. გაბრიელი ძმასაც უმალავდა დღიურს, საწერი მაგიდის დაკეტილ უჯრაში ინახავდა, უჯრის გასაღებს კი ყოველთვის ჯიბით ატარებდა მუდამ. იმ დღიდან დავითი სამუდამოდ ჩამოშორდა თავის საცოლეს.

□

გემი შავი ქვითა და გუდრონით დაიტვირთა ფოთის ნავსადგურში.

გაბრიელი დილით გააფრთხილეს — ამაღამ შტორმი არის მოსალოდნელიო, ნაშუადღევს მაინც გავიდა ცოტათი ატორტმანებულ ზღვაში და კურსი სევასტოპოლისაკენ აიღო.

შებინდებისას ღონივრად დაუბერა ქარმა; ანძებზე, მავთულებზე, გემის ყოველ კუთხეში დაიზუზუნა, დაუსტვინა, დაიღრიალა, დაიყეფა. პაპიროსი პირიდან გამოსტაცა გაბრიელს და ზღვაში გადაისროლა. გემის ცხვირი ზევით ავარდა, მერე ქვევით დაქანდა. გემმა რწევა იწყო.

ავზთან ფეხმორთხმული ახალგაზრდა ნაოსანი გობში ხალათს რეცხავდა. როცა გემი ცხვირით გადაეშვებოდა, გობიდან საპნიანი წყალი გემბანზე იღვრებოდა, გაბრიელის იქვე მიცუცქულ შავ დიდ ძაღლს დრუნჩსა და გრძელ ყურებს უსველებდა.

გემბანზე ამოვარდნილმა ტალღამ ნაოსანი დააწვინა, გაათრია და თავით ქიმს დაახალა. დარეტიანებული წამოდგა. გემბანზე წყალი აღარ იყო, არც ხალათი და გობი ჩანდა. გაწუწული ძაღლი საცოდავად გამოიყურებოდა.

დაღამდა. ქარს ხან ძალა ელეოდა, ხანაც გააფთრებით ქროდა. ზღვა გიგანტური ქვემეხივით გრუხუნებდა.

გაბრიელმა ნაპირს გახედა — „ნავსადგურიდან არ უნდა გამოვსულიყავიო". ელნათურები ხან ზევით არბოდნენ, ხან ქვევით ჩამორბოდნენ. ერთ ადგილას ღრუბლებს შორის რამდენიმე ვარსკვლავი შენიშნა. ვარსკვლავები ვერცხლისფერი მწყრებივით ხან ზევით აიჭრებოდნენ, ხანაც ქვევით მოფრინავდნენ. გაბრიელი ძლიერი ღელვის დროს ზოგჯერ კარგავდა გემის რწევის შეგრძნების უნარს. ამხანადაც ასე დაემართა; უკვირდა — ელნათურები და ვარსკვლავები ასე უცნაურად რატომ ინაცვლებდნენ ადგილებსო.

დროგამოშვებით გემის ცხვირი აქაფებულ, აბუყბუყებულ, მდუღარე წყალში ეფლობოდა, შხეფები საკაპიტნო ბოგამდე აღწევდნენ, გაბრიელსა და მესაჭეს ასველებდნენ.

გაბრიელი მესაჭეს მიაჩერდა. მესაჭე შტურვალს ხან მარჯვედ ატრიალებდა და კომპასს თვალს არ აშორებდა, ხანაც თითქოს ბარბაცებდა მთვრალივით. „ღელვამ თუ აწყინა", — გაიფიქრა გაბრიელმა, ყურებთან ტუჩები მიუტანა და ყვირილით ჰკითხა.

— რა დაგემართა?

გაბრიელმა დაინახა: მესაჭემ პირი დააღო და რაღაც თქვა, მაგრამ მისმა სიტყვებმა ამ გრგვინვასა და გრუხუნში ვერ მიაღწიეს გაბრიელის ყურამდე.

— თავბრუ მესხმის... — ბოლოს, როგორც იქნა, გაარჩია გაბრიელმა. მესაჭეს უბიძგა. — წადიო. მესაჭემ ვერ გაბედა ქვევით ჩასვლა — ზღვა გადამრეცხავსო. იქვე გაიშხლართა.

გაბრიელმა შტურვალს რომ ჩაავლო ხელები, მთელი არსებით იგრძნო: ადვილად არ დათმობდა სიცოცხლეს, უსაზღვროდ უყვარდა ეს ქვე-

ყანა თავისი დიდი დარდით, ტკივილითა და მცირე სიხარულით... მართალია, დავითს უთხრა ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვსო, მაგრამ როგორ არა აქვს! ცოცხალი ხორცის რაღაც ნამცეცის გასაოცარი სული რომ შეიჭრები კვაზარებსა და პულსარებში, ჟამისა და სივრცის უსასრულობაში და მწვავედ იგრძნობ შენს ღვთაებრივ სიდიადესა და მტანჯველ უმწეობას, განა ასეთ სიცოცხლეს უაზრო ეწოდება? უმწეობა? გწვავს სურვილი ამ დაუსაბამო სამყაროში დაუსრულებელი სრბოლისა, გსურს ნახო და შეიცნო მისი ყოველი კუთხე, ყოველი ვარსკვლავი და კომეტა! იცი, ამას ვერ შესძლებ და ეს გიწამლავს სულს და გიფორიაქებს, ბადებს უმწეობის გრძნობას. დეე, მუდამ ვიყო ასეთი კუზიანი და ბებერი, ოღონდ სულ ვიცოცხლო, არ მოვკვდე, არ დავჩაჩანაკდე, ნათელი გონება და მოძრაობის უნარი შემრჩეს, ერთი ნავსადგურიდან მეორეში ადამიანისათვის საჭირო ტვირთი გადამქონდეს, ხალხისათვის საჭირო საქმეს ვაკეთებდე! განა ასეთი სიცოცხლე უაზროა?!

მესაჭე მალე მომჯობინდა, გაბრიელმა შტურვალი მას ჩააბარა.

დაბალ ცაზე მშიერი მგლებივით დაძუნძულებდნენ ჩამოძონძილი მძიმე ღრუბლები.

გემის საყვირს ჩქარ-ჩქარა ახმიანებდნენ, რომ შემხვედრ გემს არ დასჯახებოდნენ.

„მატულობს ღელვა! — ფიქრობდა გაბრიელი, — რომ შეიძლებოდეს ლუკების გახსნა, გუდრონის რამდენიმე კასრს გადავუძახებდი ზღვაში, გემს შევუმსუბუქებდი ტვირთს. ლუკები რომ გავხსნა, ტრიუმები უმალ აივსება წყლით და გემს ჩანთქავს ზღვა“.

შუაღამე გადასული იყო, შემოდგომის ხშირი, წვრილი წვიმა წამოვიდა, წვიმა თვალებში სცემდა გაბრიელსა და მესაჭეს, ხედვას უშლიდა.

გემი მძლავრად შეირყა. გაბრიელი უეცრად მოსხლტა ადგილიდან და საკაპიტნო ბოგის მოაჯირს მკერდით მიენარცხა. გრძნობდა, გემი ქიმით რაღაც მკვრივს ეხეთქებოდა. ცხვირწინ სხვა გემის ანძა რომ დალანდა, სველ თვალებზე სახელო ჩამოისვა, მერე შუბლზე ხელი იტკიცა — რომელიღაც გემს შევასკდით, დავიღუპეთო...

ერთ ხანს გემები შეჭყლეტილი ფერდებით ეხახუნებოდნენ, ეხლებოდნენ ერთმანეთს, მერე ნელ-ნელა დაშორდნენ და თავთავიანთი გზა განაგრძეს.

გათენებისას ღელვამ საგრძნობლად იკლო, გაბრიელის თანაშემწეები და ბოცმანი გემზე ამაოდ ეძებდნენ გაბრიელს. მესაჭეს ეკითხებოდნენ — სად გაქრა კაპიტანიო. მესაჭე მხრებს იჩეჩდა: გემებმა ღამით ურთიერთს რომ გაჰკრეს ფერდები, სწორედ მაშინ საკაპიტნო ბოგიდან რაღაც გადავარდა ზღვაში. ისეთი თავსხმა იყო, ვერ გეტყვით, რა მოხდაო.

□

მატარებელი შეღამებისას შეგრიალდა ფოთის სადგურში. დასტაქარმა უთხრა დავითს: ჩამოვიდეს თქვენი ძმა, გავსინჯავ და დახმარებას აღმოვუჩენო.

ნოემბრის დღესასწაული იყო; გარეთ გამოფენილ ხალხში მთვრალებიც ერივნენ, დაბორიალობდნენ და მღეროდნენ.

თავისი სახლის განათებული ფანჯრები რომ დაინახა დავითმა, გაეხარდა — შინ ყოფილაო. ვთხოვ, ხვალვე აილოს შვებულება და ლენინგრადს გაემგზავროს. ვიცი, დამიწყებს დავას — ტვირთბრუნვის გეგმას შევასრულებ, მერე გავემგზავრებიო.

დავითმა სახლის კიბე აირბინა, ღია კართან გაბრიელის შავი, დიდი ძაღლი წკმუტუნითა და კუდის ქნევით შეეგება.

ოთახში კუბო იდგა, კუბოში სახეშეშუპებული გაბრიელი ესვენა, ზედ ყვავილები ეფინა. გაბრიელის თავთან ხანდაზმული, ჯერ ისევ სანდომიანი, ირმისთვალა თამარ საბაშვილი იჯდა, სახე ცხვირსახოცში ჩაემალა. სავარძელში თამარის შვილიშვილს პატარა ხათუნას ეძინა. თამარმა დავითის დანახვაზე შეიცხადა, მერე უთხრა:

— შუადღიდან აქა ვართ მე და ხათუნა — გაბრიელის საყვარელი ცუგრუმელა. ძაღლმა შემოგვიშვა, მაგრამ წასვლა რომ ვცადეთ, შემოგვიღრინა და უშველებელი კბილები გვიჩვენა. ძაღლმა გამაბრაზა, მაგრამ არავინ რომ არ მოვიდა მიცვალებულთან, ისე შემებრალა გაბრიელი, ერთი პირი წამოვიტირე. სიძემ მომაკითხა—სად დაიკარგეო, ძაღლმა როგორ შეგაშინაო. მარტო როგორ დამეტოვებინა გაბრიელი? სიძე კარიდან არ გაუშვა ძაღლმა, ფანჯრიდან გადახტა და წავიდა.

— გემთშემკეთებელი ქარხნიდან არავინ მოსულა? — იკითხა დავითმა.

— გუშინწინ თქვენს ეზოში იყვნენ ქარხნის მუშები და მოსამსახურეები. გუშინ და დღეს არავინ მინახავს. ნუთუ ნათესავი აღარა გყავთ, არც მეგობარი?

— მოვხუცდით, თამარ, არც ნათესავი მყავს, არც მეგობარი. ზოგი ომმა იმსხვერპლა, ზოგიც — ავადმყოფობამ და სიბერემ.

ხათუნას გაეღვიძა და დავითს შესცინა.

— მე ახლა დიდი ვარ. დღეს სამი წელი შემისრულდა! — თქვა მან.

□

დავითი ჩააჩერდა ჩალურჯებულ, ჩაშავებულ, ყინულშემოდებულ გვამს და მაინც არ სჯეროდა, რომ გაბრიელი მკვდარი იყო, რომ მის წინაშე სამუდამოდ დადუმებული ძმის ცხედარი ესვენა — დავითი ელოდა: გაბრიელი თვალებს გაახელს, წამოჯდება, თამარს სიხარულითა და მოკრძალებით მიესალმება, ხათუნას დაუყვავებს, მერე წითელ მიხაკს აიღებს, დაყნოსავს, სიამოვნებისაგან თვალებს მილულავს: „თქვენ გადაწყვიტეთ, რომ სიკვდილი მომერია?“ — იტყვის და ულვაშებში ეშმაკურად ჩაიღიმებს.

როცა ნაბახუსევ გაბრიელს დილით ადრე უჭირდა გაღვიძება, დავითი თმაში ნელა მოქაჩავდა. თვალებდახუჭული გაბრიელი ჩაიბურტყუნებდა — მაგრა მომქაჩეო. დავითი რომ მოქაჩავდა, გაბრიელი დაამთქნარებდა და წამოხტებოდა. დავითმა ახლაც კინაღამ თმაში სტაცა ხელი. დაიხარა — ვეამბორებიო, გვამის გახრწნის სუნი ეცა და თავი სწრაფად უკან წაიღო. მყისვე სინდისის ქენჯნა იგრძნო, თითქოს უმძიმესი დანაშაული ჩაედინოს იმ ადამიანის წინაშე, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა ამქვეყნად. საკუთარი თავი შეეზიზღა, აივანზე გავარდა და შეკავებული ცრემლი წასკდა.

უკან რომ შებრუნდა, თამარიც იცრემლებოდა, ცხვირი ცხვირსახოცში ჩაერგო. ხათუნა ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მიცვალებულის ამობურცულ მკერდს. მერე თითი კუბოსკენ გაიშვირა და დავითს სთხოვა: წითელი ყვავილი მაჩუქეო.

# ძველი რვეული

**ბორის გურგულია**

აფხაზი პოეტი

□

სადაც წავალ,
სადაც წავალ,
ქარია თუ წვიმა,
ამ მიწა-წყლის სიყვარული
საგზალივით მიმაქვს...
არაფერი არ მაშინებს
და სიმღერაც მყოფნის,
სადაც წავალ,
სადაც წავალ,
ქარია თუ წვიმა.
გადის წლები, და სიყვარულს
უფრო მძლავრად ანთებს —
მძლე არწივად გადიქცევა
უბუმბულო მართვე,
ვიცი, მამულს, დაველევრები
სისხლადა და ოფლად...
მისხალ-მისხალ დავუბრუნებ,
რაც კაცობით მმართებს.

□

როს ბავშვობის
უზრუნველი
წლები გაივლიან,
და ვიგონებთ ჯოხის რაშებს,
ველებს ყვავილიანს,
გულს ნაღველი ეტანება
მწარეცა და ტკბილიც...
როს ბავშვობის
უზრუნველი
წლები გაივლიან.

ხომ გინახავთ
დედაჩიტი
ბარტყებს როგორ აფრენს,
სანამ ზღვაში გავიდოდნენ,
როგორ შლიან აფრებს?..
ბავშვობაც ზღვის ნაპირია
და ღიმილი დილის...
ჭაბუკობა — დედაჩიტი
ბარტყებს
როცა აფრენს.

□

გაზაფხული მწვანე ეშხით
შემოვიდეს მარად!
მთებს ქათქათით შეეფინოს
ცხვრის გაშლილი ფარა,
ცას მზის სხივი
ამშვენებდეს,
დედამიწას — ხნული.
მივდივარ და შარაგზაზე
მივიმღერი კვალად.
განა კვნესა,
სიხარული —
სოფელსა და ქალაქს,
განა სისხლი,
დილის ცვარი
ეფრქვეოდეს ბალახს,
ირგვლივ ენთოს დაუმცხრალი
სიყვარულის ლული.
მივდივარ და მივიმღერი
შარაგზაზე კვალად.

□

აფრიალებს ფანჯარასთან
ქარი ყვითელ ფოთლებს...
ხან ზუზუნით, როგორც ფოთოლს,
გულსაც შემიშფოთებს.
შევყურებ და მაგონდება
ტურფა
    გაზაფხული...
აფრიალებს ფანჯარასთან
ქარი ყვითელ ფოთლებს.

„თუკი გაჩნდი, უნდა დაჭკნე,
ყველას ერთი დრო აქვს“ —
ზუზუნა ქარს საიდანღაც
ვიღაცის ხმა მოაქვს.
მაშ რად ეტრფის უკვდავებას
გონება და გული?
თუკი გაჩნდი, უნდა დაჭკნე,
ყველას ერთი დრო აქვს!

□

კლდის ნაპირას მარტოდმარტო
შრიალებდა მუხა...
დასცქეროდა გულბნელ უფსკრულს
და მდინარეს მქუხარს.
მზე ალერსით უღიმოდა,
ვაჟკაცობით
    მთვრალი.
კლდის ნაპირას მხიარულად
შრიალებდა მუხა.

მე სიცოცხლის ყოვლისშემძლე
სიყვარული ვიგრძენ...
რომ არ უკრთის უფსკრულებს და
წლების მჭმუნავ სიგრძეს.
მის ფეხებთან განგმირული
იწვა ქარიშხალი...
და სიცოცხლის ყოვლისშემძლე
ძლიერება ვიგრძენ.

□

თუ ნაღველი დაგეუფლა
და დაგცინა მწარედ,
სატევარი მოუქნიე,
მოაგონე მალე,

# წიგნის თარო

# მწერლისა და პუბლიცისტის თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილის თხზულებათა მეორე ტომი გასული წლის ბოლოს გამოვიდა. ამ ტომში შესულ თხზულებათა კვლევა-ძიების არე მრავალმხრივი ინტერესის აღმძვრელია. მასში მოცემულია ჟანრობრივად განსხვავებულ თხზულებათა ოთხი განყოფილება: ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, ნაფიქრი და ნააზრევი ცხოვრებისეულ პრობლემებზე, ლიტერატურა და თანამედროვეობა, წერილები ხელოვნების საკითხებზე და პიესა „კალოზე".

ტომეულში თავმოყრილ მნიშვნელოვან თხზულებათა შორის გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, პირველ რიგში, თანამედროვე ცხოვრებისეულ პრობლემებზე, რომლებიც მწერლის მიერ დასმული და განხილულია საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ ნარკვევებსა და სტატიებში. ამ რიგის პუბლიცისტურ-მხატვრული ნარკვევები და სტატიები დაბეჭდილია ტომის მეორე განყოფილებაში: „რა უხარია და რა სწყინს სოფელს", „100.000 სანადირო თოფი", „არც აქვს მას ხმა, არც სიტყვა", „მიჯნა კეთილსა და ბოროტს შორის", „თოფის ხმა ეკრანიდან", „ბალადა თავმჯდომარეზე".

მწერალი-პუბლიცისტი ღრმად, საფუძვლიანად იცნობს საბჭოთა ცხოვრების სინამდვილეს, მის მიერ წამოყენებულ საჭირბოროტო საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც დროულად მოითხოვენ გადაჭრასა თუ მოგვარებას.

მხატვრულ ნარკვევში „რა უხარია და რა სწყინს სოფელს" საქვეყნოდ განთქმული ნატანების კოლმეურნეობის ცხოვრების დღევანდელი დღეა ასახული. სოფლის ლხინსა თუ ჭირს ავტორი ისე წარმტაცად, ხალისიანად, მხატვრული ზემოქმედებით მოგვითხრობს, რომ მკითხველი ინტერესითა და გატაცებით მიჰყვება ბოლომდე.

ამ მხატვრულ ნარკვევთა კითხვისას შეუძლებელია მკითხველს არ აუფორიაქდეს ფიქრი და აზრი; მწერალი ხალხის ცხოვრების ცოდნითა და სიღრმით, პატრიოტული მგზნებარებითა და სიყვარულით, ლამაზად, შეუფერავად, მხატვრულად წერს საკოლმეურნეო შრომის ნოვატორებზე, უბრალო ადამიანებზე, მათს ფიქრსა თუ მისწრაფებებზე, შემართებაზე, თავდადებით რომ ადიდებენ გარჯასა და შრომას და ამით ქვეყანას დოვლათით ამდიდრებენ, ხალხისა და მშვიდობიანი ცხოვრების კეთილდღეობის მტკიცე საფუძველთა. საფუძველს ჰქმნიან.

აი, ისინი, მადლიანი შრომის გმირები, რომელთა სახელები, თავიანთი პატიოსანი შრომითი საქმიანობით, საქვეყნოდ ცნობილნი რომ გამხდარან: ნატანებელთა თავკაცი გივი წითლიძე, განთქმული ხუცუბნელი და ტყვიაველი მშრომელი კოლმეურნეები, ზემოქედის კოლმეურნეობის თავკაცი, შრომის გმირი არსენ კობაიძე, ზემო მაჩხაანისა და მირზაანის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო მამაიაშვილი, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ელგუჯა ნატროშვილი, მთავარი ეკონომისტი ცირა ბოსტოღანაშვილი, მთავარი აგრონომი მურთაზ ნატროშვილი, ახალგაზრდა კომბაინერები — ჯემალ ბენაშვილი, ირაკლი მაძღარაშვილი და მრავალი სხვანი.

ამ შესანიშნავ ნარკვევებში მხატვრულ პროზასა და ნარკვევებს შორის თითქმის ზღვარი წაშლილია და ძნელდება თხზულებათა რომელ ჟანრს — მოთხრობასა თუ ნარკვევს მიაკუთვნო ისინი.

თითქმის ყველა ნარკვევსა თუ მოთხრობაში დიდი სამამულო ომის სუნთქვა ისმის. ამით მწერალი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ქვეყნის საბედისწერო ძნელბედობის დაუვიწყარ წლებს.

საჭიროა თუ არა კიდევ და კიდევ ვწეროთ დიდი სამამულო ომის თემაზე?

სხვადასხვა მოსაზრებათა საპირისპიროდ, ამ საკითხზეც მწერალი ნათლად და გადაჭრით გვარწმუნებს, რომ საჭიროა, „ადამიანის აღზრდისა და სულიერი ამაღლების მიზნით" (გვ. 221).

დიდ სამამულო ომზე მწერალმა უთუოდ უნდა წეროს, რომელიც იქნება „ერთი თაობის გადაძახილი მეორე თაობისადმი, ეს უნდა იყოს ისეთი წიგნი, რომელიც დაანახვებს ახალგაზრდა მკითხველს, თუ როგორ განუყრელია შენი ბედი ქვეყნის ბედისგან". (გვ. 223).

მათ საპირისპიროდ ვინც ამბობს, ომზე ჩვენ ბევრი ვწერეთო, ავტორი მართებულად იშველიებს წინაპრებს: „... ამ ჰეროიკული საწყისის გარეშე ცხოვრება წინ ვერ წავა, უამისოდ კეთილი ვერ გაიმარჯვებს ბოროტზე... უამისოდ სიყვარული ვერ გაიმარჯვებს... ვინ ეტყოდა რუსთაველს, ომზე რათა სწერო? მთელი გურამიშვილი — ომია. ბარათაშვილის ერთადერთი პოემა — კრწანისის ომია... აკაკიმ ათასი წლის წინანდელი ომი გაიხსენა „თორნიკე ერისთავში", იმიტომ კი არა, რომ ომი ეხალისებოდა, არამედ იმიტომ, რომ კეთილია და ვაჟკაცურის საწყისი დაენერგა, გაეძლიერებინა... ის წარსულზე კი არა, აწმყოსა და მომავალზე წერდა" (გვ. 222).

ძნელია ამის საწინააღმდეგოდ სხვა მოსაზრების დაპირისპირება და ჩვენც ვიმეორებთ მის მოწოდებას: „მართალია, დაიწერა კარგი წიგნები, მაგრამ უფრო უკეთესები უნდა დაიწეროს, უკეთესი სპექტაკლები უნდა დაიდგას და უკეთესი ფილმები გამოვიდეს ეკრანზე... მაშინ მართლაც პირნათლად მოიხდის ვალს ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ქვეყნის, ხალხისა და პარტიის წინაშე" (გვ. 224).

კითხულობთ ნარკვევს „მიჯნა კეთილსა და ბოროტს შორის" და თქვენს თვალწინ გაიელვებს ჩვენი სახელოვანი თანამედროვე მოღვაწეთა სა-

რომ ამ ქვეყნად მარტო არ ხარ
და გყავს
მეგობარი;
თუ ნაღველი დაგეუფლა
და დაგცინა მწარედ.
მეგობარი უერთგულეს
ადამიანს ჰქვია!
საკუთარ მკერდს რომ ახვედრებს
შენკენ ნასროლ ტყვიას.
მეგობრობას უმღეროდა
ათასობით ქნარი!
მეგობარი უერთგულეს
ადამიანს ჰქვია!

## პირველი საღამო

ის საღამო ძველებურად
დგას იმ ხესთან ისევ
და გავლისას ფიქრებსა და
მოგონებებს მისევს...
— შენთვის ვცოცხლობ!
— რატომ ცრუობ?!
საიდანღაც მესმის.
ის საღამო ძველებურად
დგას იმ ხესთან ისევ...
ნურასოდეს დაივიწყებ
იმ ალერსის ძალას.
მე მის მერე ქვეყნად შენი
სიყვარული მფარავს,
მეჩვენება — ცხოვრებაში
ღრმად გავიდგი ფესვი.
ნურასოდეს დაივიწყებ
იმ ალერსის ძალას.

□

გადიქროლებს საუკუნე
დადუმდება გული...
და იცოცხლებს მარადისი
მზე და სიყვარული,
გაზაფხულის სურნელება,
შენი ბაგის სითბო...
გადიქროლებს
საუკუნე,
დადუმდება გული.
და იმ ხესთან ჩვეულებრივ
სხვა წყვილი რომ მივა,
გულს შეურხევს ჟრუანტელი,
ცრემლი ჩამოსცვივა;
„ასი წლის წინ აქ რომ იდგნენ,
არ წასულან
თითქოს!" —
იტყვის ჩუმად, ჩვეულებრივ
სხვა წყვილი რომ მივა.

□

ზღაპარივით
მაგონდება
გამოვლილი გზები —
ბნელ ხევებზე გადაფრენა
უხილავი ფრთებით,
და აივნის მაღალ ბოძთან
წყვილი მერცხლის ბუდე.
ზღაპარივით
მაგონდება
გამოვლილი გზები...
შევყურებდი,
შევხაროდი
გულმოხატულ მერცხლებს,
მერცხლებს ფრთებზე დავეკიდე,
ცა შევხსენი მეცხრე.
და დღეს, როცა შენს ახლო ვარ,
მათ ვიგონებ მუდამ,
ბუდის თავზე მოღუღურტულე
გულმოხატულ მერცხლებს.

## შეყვარებული რცხილები

გაცრეცილი ციმციმებდა
ზამთრის ცივი დილა.
თვალზე ცრემლი უბრწყინავდა
შემოძარცულ რცხილას.
მარტო იდგა... მეგობარი
წაერთმიათ
მისთვის.
გაცრეცილი მიყურებდა
ზამთრის ცივი დილა.

შორს ურემი უდარდელად
მიათრევდა ნალოს...
ხან კივილი გაისმოდა:
„ჩემი გულის ცალო,
მოტრიალდი, უშენობით
მიჯნურს გული მისდის!.."
ურემი კი უდარდელად
მიათრევდა ნალოს.

## ორი ჩიტი

ტოტიდან ტოტზე დახტოდა ერთი,
ტოტიდან ტოტზე ხტოდა მეორეც;
ბუდისთვის ბუმბულს ზიდავდა ერთი,
ეზიდებოდა ბუმბულს მეორეც;
და სადაც საკენკს ეძებდა ერთი,
იქვე ეძებდა საკენკს მეორეც;
ჩაფრინდებოდა წყაროსთან ერთი,
წყაროსთან ჩუმად იჯდა მეორეც;
ქარის პირდაპირ მიჰქროდა ერთი,
ქარშიც მისდევდა გვერდით მეორე;
დაიძინებდა ფოთლებში ერთი,
აღარ ახსოვდა ძილი მეორეს;
მაგრამ, ეჰ, სადღაც გაფრინდა ერთი,
დიდხანს ეძებდა,
დიდხანს მეორე;
აღარ გამოჩნდა კარგახანს ერთი,
გადაიკარგა სადღაც მეორეც.

გურამ გოგიაშვილის თარგმანი.

ხეები. რომელთა ღვაწლი და ამაგი თაობებს გადაეცემა.

გიორგი ნატროშვილის ერთად თავმოყრილ პუბლიცისტურ-კრიტიკულ-ლიტერატურულ ნარკვევებში ძალუმად მოჩანს თანამედროვე, ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მაჯისცემა, თავისი შინაარსითა და იდეური მრწამსით ეპოქის მისწრაფებას რომ პასუხობს; მწერლობა, თავისი მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებით, ცხოვრების მხარდამხარ მიაბიჯებს, გვამხნევებს, ძალასა და ენერგიას გვმატებს, ხალისს გვგვრის საბჭოთა აღმშენებლობის საერთო წარმატებისათვის.

„დახატო და აჩვენო მთავარი გმირი ეპოქისა, ცოცხალ მაგალითად დაუსახო იგი ქვეყანას — ეს ამოცანაა, რომელიც ქართული საბჭოთა მწერლობის წინაშე დგას, ერთი მხრივ, დროული, კონკრეტული, სადღეისო, უაღრესად აქტუალური და, მეორე მხრივ, ისტორიულიც, ჩვენს დროს რომ გასცდება და მუდამ რომ იცოცხლებს“ (გვ. 388).

წინამდებარე ტომში დაბეჭდილია აგრეთვე ბუნების დაცვის პრობლემისადმი მიძღვნილი ნარკვევები: „100 000 სანადირო თოფი“ და „არა აქვს მას ხმა, არც სიტყვა“.

ამ ნარკვევებში ავტორი ეხება მეტად საჭირბოროტო, აქტუალურ საკითხებს, რომლებიც დროულად გადაჭრასა და მოგვარებას მოითხოვენ.

ბუნების დაცვის პრობლემა „იქცა მთელი კაცობრიობის საწუხრად და საფიქრებლად, გამუდმებული სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად“.

გიორგი ნატროშვილი შესანიშნავად იცნობს ჩვენი სამშობლოს ბუნებას, მის მიწა-წყალს, მინდორ-ველს, მთა-ბარს, ტყეს, მის ფლორასა თუ ფაუნას.

ავტორი ისტორიულ ასპექტში კრიტიკულად იხილავს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს და აყენებს პრაქტიკულად საჭირო ღონისძიებებს მათ განსახორციელებლად.

„ბუნების დაცვის სფეროში ჩვენს წინაშე დღეს მრავალი გადაუჭრელი, უაღრესად მწვავე პრობლემა დგას, — წერს იგი, — ვაშენებთ ტყეებს, მილიონები იხარჯება ამ საქმეზე, და, იმავე დროს ბევრ ადგილას ვიღაც სჩეხავს და აპარტახებს ამ ტყეებს; ვუფრთხილდებით ნადირ-ფრინველს და მაინც ბევრ ადგილას ჩიტების ჟრიამული აღარ ისმის ტყეში, სულ უფრო და უფრო ჩუმი ხდება ქართული ტყე, ვზრუნავთ რესპუბლიკის წყლის რესურსების დაცვისა და სისუფთავისათვის, და მაინც, მტკვარიცა და რიონიც, ბევრი მათი შენაკადი სავსეა ბინძური ჩამდინარე წყლებით“ (გვ. 168-169).

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა!

ყურად უნდა ვიღოთ სასიქადულო მწერლის მოწოდება და ბუნების დაცვა საყოველთაო-სახალხო საქმედ უნდა გავიხადოთ.

„საქართველოს მდინარეებისა და ტბების, მთელი ბუნების დაცვას უფრო გულმოდგინედ უნდა მოეკიდოს ჩვენი საზოგადოებრიობა, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია, ეს არ არის მარტო ცალკეული უწყებების მოვალეობა, ეს მთელი ხალხის საქმეა“ (გვ. 195).

გიორგი ნატროშვილის თხზულებათა მეორე ტომი ამავე დროს, ნათლად წარმოგვიდგენს ავტორის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის შრომით და შემოქმედებით გზას.

გიორგი ნატროშვილის სახით ქართულ საბჭოთა მწერლობას, საზოგადოებრიობას თავისი მოჭირნახულე მამულიშვილი, მუდამ მშრომელი და ნიჭიერი შემოქმედი ჰყავს, ასე ჭაბუკური გატაცებით რომ ემსახურება სათაყვანებელ სამშობლოს.

**შალვა გოზალიშვილი**





ზურაბ სარალიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის რიგებს კიდევ ორი სოციალისტური შრომის გმირი შეემატა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს ზურაბ სარალიძეს.

ეს საპატიო წოდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საზოგადოებრივ საწყისებზე საქართველოს პროფსაბჭოს მდივანს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს ზურაბ სარალიძეს მიენიჭა 1976 წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, შრომისნაყოფიერებისა და ნაწარმის ხარისხის ამაღლებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

ჩარხსაშენებელი ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი ხარატი ზურაბ სარალიძე ხელმძღვანელობს, წლების მანძილზე თავდადებით იბრძვის ნაკისრი ვალდებულებების დროულად, მომჭირნეობითა და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ამ შემოქმედებით შრომაში ზურაბ სარალიძე პირადი მაგალითით რაზმავს და აღაფრთოვანებს ბრიგადის წევრებს.

ზურაბ სარალიძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გამოიყენა ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდები, დანერგა რამდენიმე ჩარხთან მუშაობის გამოცდილება, მოიპოვა ჩარხებისათვის დამზადებულ სამარჯვებზე და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე „პირადი დამღის“ დასმის უფლება...

მაღალმა ჯილდომ ახალი ძალა შემატა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე მდგომ ხარატს. ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, დღევანდელი დღის მებრძოლ მუშაკაცს ზურაბ სარალიძეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი,

# გულგულის კომუნა

საქართველოში პირველი რევოლუციის ბობოქარი დღეები იდგა. მრავალტანჯული მშრომელი ხალხის გულში დაგუბებულმა რისხვამ არაჩვეულებრივი ძალით იფეთქა თელავის მაზრაში.

რევოლუციონერთა ხელმძღვანელობით თელავის მაზრაში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უჯრედი. ცნობილ პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი, რომელიც იმ ხანად თელავში ცხოვრობდა, გაბედულად დადგა რევოლუციურად განწყობილ მშრომელთა გვერდით და მთელი თავისი ოჯახით ჩაება ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფერხულში. მათვე შეუერთდა სოფელ გულგულის მკვიდრი როსტომაშვილის მეგობარი ივანე კოლელიშვილი.

1906 წლის იანვრის პირველ ნახევარში ივ. კოლელიშვილმა გულგულაში შეკრიბა თავისი სოფლის უღარიბესი გლეხები და განუცხადა, ჩემს მამულსა და მთელ ჩემს ქონებას ვაცხადებ საერთო-სახალხო საკუთრებად. ძმებო და მეგობრებო, მე მუდამ თქვენთან ვიქნები და მუდამ თქვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ვიზრუნებო.

ივ. კოლელიშვილის გამოსვლას ხალხი სიხარულით შეხვდა. როცა მათი ხმა მიწყნარდა, ივ. კოლელიშვილმა დაუმატა: — ძმებო, ჩემი ქონება ვერ დაგაკმაყოფილებთ, საჭიროა თქვენი მიწაც ჩემს მიწას გავუერთიანოთ, თქვენი საქონელი — ჩემსას და ერთიანი ძალით შევუდგეთ საქმეს, ვიმუშაოთ ერთად, გავინაწილოთ მოსავალი შესრულებული შრომის მიხედვით!

...იმ წელს ცივი და სუსხიანი ზამთარი იყო, მრავალ კომუნარს არ ჰქონდა საკმაო სარჩო, ივანემ მათ უსასყიდლოდ გაუნაწილა თავისი ჭირნახული: ხორბალი, ღვინო, ბოსტნეული.

დადგა გაზაფხული. ივანეს მეთაურობით კომუნარები ერთდროულად გადიოდნენ სამუშაოდ, ერთად საქმიანობდნენ, ერთად ისვენებდნენ.

ივანე როსტომაშვილის ქალიშვილებმა — ბაბომ და ტასომ, რომლებსაც თელავის საზოგადოება იცნობდა, როგორც ნიჭიერ სცენისმოყვარულებს, კომუნის სასარგებლოდ რამდენიმე სპექტაკლი გამართეს და ალებული თანხა სოფელ გულგულაში კომუნარებს გაუგზავნეს.

ივ. როსტომაშვილის მეუღლემ — ელისაბედმა თავისი საკერავი მანქანა თელავიდან გულგულაში წაიღო, დღე და ღამეს ასწორებდა, რომ კომუნარებისათვის ტანსაცმელი შეეკერა; თავისი წითელი კაბა კომუნარების დროშად გადააკეთა.

# იცნობდეთ ახალ გმირებს



რომ გაორკეცებული ენერგიით იბრძოლოს და ღირსეული წვლილი შეიტანოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დიდ მიზანდასახულობათა წარმატებით დაგვირგვინებაში.

სამშობლოს სადიდებლად ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სოციალისტური შრომის გმირს ზურაბ სარალიძეს!

●

მეორე ქართველი მუშა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ახლახან მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ოთარ ლომიძე გახლავთ.

ოთარ ლომიძის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში. სწორედ ამ ნოვატორი მეფოლადის ბრიგადაში ჩაისახა წარმოებაში სანიმუშო დისციპლინის დაცვისა და მისი განუხრელად განმტკიცების თაოსნობა, რომელიც მთელმა საქართველომ აიტაცა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშის ოთარ ლომიძის ცხოვრებაში ყოველთვის სიხარულის ნათელ მოგონებად დარჩება შარშანდელი წლის 15 ოქტომბერი. ამ დღეს მან, გაწეული მუშაობის მაღალი შეფასებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულთბილი მოლოცვის წერილი მიიღო.

ლეონიდ ბრეჟნევის წერილმა ოთარ ლომიძის მთელი ბრიგადა აღაფრთოვანა. ხუთწლედის პირველი წელი მათ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს. სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 600 ტონა ფოლადის ნაცვლად სამშობლოს 1.162 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი მისცეს.

თავდადებული შრომა გრძელდება. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ოთარ ლომიძის ბრიგადა ახლა ჩვეული შემართებით იბრძვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ თავდადებულ შრომაში მისაბაძ მაგალითს იძლევა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი წამოწყების ინიციატორი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ოთარ ლომიძე.

ოცი წელი სრულდება, რაც ოთარ ლომიძე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მივიდა სამუშაოდ. ამ ხნის მანძილზე ალალი, გულმოდგინე, ახლისადმი სწრაფვისა და საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობით აღსავსე შრომის გზა განვლო მან. აკი დაუფასდა კიდეც ეს შრომა! ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი ოთარ ლომიძე დღეს საქვეყნოდ ცნობილი ვაჟკაცია. სხვა დიდ ჯილდოებთან ერთად, მის მკერდს ოქროს მედალი „ნამგალი და უროც" ამშვენებს.

ემატონ ჩვენს ხალხს ასეთი ვაჟკაცები!


ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ლომიძე.

სოფლის შეძლებული მოსახლეობა — კულაკები მტრული თვალით უყურებდნენ კომუნარების საქმიანობას, აუგად ახსენებდნენ მათ მეთაურს. ერთ დღეს ვინმე გოგი გიგაურმა თავისი საქონელი კომუნარების ტანაყრილ სიმინდის ყანაში შერეკა. კომუნარმა მცველმა მიტრო ივანიშვილმა სიმინდში შესული საქონელი ჭალაში გადარეკა. მერე დაქანცული ჭაბუკი ხის ქვეშ დასასვენებლად დაჯდა. სწორედ იმ დროს მიეპარა მას გ. გიგაური და ხანჯლით სიცოცხლეს გამოასალმა.

კაცისმკვლელი სოფელში აღმოაჩინეს. კომუნარები მის ჩაქოლვას მოითხოვდნენ

— ნუ აჩქარდებით, ძმებო! — უთხრა მათ კოლელიშვილმა, — გიგოს მოკვლით მიტროს ვერ გავაცოცხლებთ, მთავრობის მოხელეებს კი გადავიკიდებთ!

ხალხის დასაწყნარებლად გიგო რამდენიმე ხანს სოფლის ციხეში ჩასვეს.

მიტრო ივანიშვილის დაკრძალვის დღეს სოფელში საყოველთაო გლოვა გამოცხადდა.

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით ცხენებზე ამხედრებული „ტყის ძმები" პროცესიაზე გამოცხადდნენ, მიტროს კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს პირველი დაკრძალვა იყო გულგულაში, რომელშიც მღვდელს მონაწილეობა არ მიაღებინეს. როცა კუბო სამარის პირას მიიტანეს, კომუნარებმა მათკენ მომავალი ცხენოსანი კაზაკები შენიშნეს, მოხუცებულებისა და ქალების გარდა, ივ. კოლელიშვილის განკარგულებით, სასწრაფოდ ყველა ტყეში გაიხიზნა.

მიტროს დაკრძალვის შემდეგ სამგლოვიარო ნიშნები ივ. კოლელიშვილის ბინაში მიიტანეს და ოთახში, რომელსაც წითელ კუთხეს უწოდებდნენ, მოათავსეს, როგორც ძვირფასი რელიქვია.

გულგულის კომუნაში მალე 95 ოჯახი გაერთიანდა, რამაც სოფლის მუქთახორები — კულაკები დიდად ააღელვა, დააკლდათ მუშახელი — მათი მოჯამაგირეები კომუნაში შევიდნენ. მათ გადაწყვიტეს, თავიდან მოეცილებინათ ივ. კოლელიშვილი. მდიდარმა ვ. ესიტაშვილმა ღამით თოფი ესროლა ფანჯარასთან მდგომ ივანეს, მაგრამ იგი დაიჭრა და რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ სათავეში ჩაუდგა ხალხს.

ივ. კოლელიშვილის წინადადებით გადაწყდა, სოფელში სასმელი წყლი გამოეყვანათ, ბავშვებისათვის ცოდნა მიეცათ.

კომუნარებს სოფელში მოსავლის აღება ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, როცა შემოდგომის ერთ ცხელ დღეს მეხივით გავარდა ხმა: ხალხო, თავს უშველეთ, მაზრის უფროსი მოდის თავისი პლასტუნებით კომუნარების დასარბევადო.

კომუნარებმა მეთაურს ურჩიეს, განრიდებოდა სოფელს, მაგრამ ივანემ უარი თქვა: მე რომ გაგერიდოთ, თქვენ უფრო აგაწიოკებენ, სჯობს, აქ დავხვდეთ.

ელისაბედ როსტომაშვილმა წითელი კუთხიდან ძვირფასი რელიქვიები გადამალა. ხალხი კანცელარიის ეზოში შეიკრიბა, მაზრის უფროსს თავაზიანად გაეგება ივანე.

— გლეხებს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებ, სოფელში რაღაც სისულელეებს აკეთებ და ამიტომ ახლავე გაპატიმრებთ!

მაზრის უფროსის ბრძანებამ შეაშფოთა ხალხი: ივ. როსტომაშვილი და არჩილ იაქაშვილი წინ გადაუდგნენ მაზრის უფროსს, სთხოვეს, გამოეჩინა სულგრძელობა, არ დაეპატიმრებინა ადამიანი, რომელიც თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის ილვწოდა.

— ჩემი ბრძანება არ შეიცვლება! — განაცხადა მაზრის უფროსმა, — კოლელიშვილი პატიმარია და სასტიკად დაისჯება! — მერე პლასტუნებს მიუბრუნდა და უბრძანა, შესეოდნენ კომუნარების ოჯახებს დასარბევად.

ისინი სწრაფად შეესიენ სოფელს და იწყეს კომუნართა ოჯახების რბევა.

გულგულის კომუნა, რომელიც ცხრა თვეს არსებობდა, დაშლილად გამოცხადდა, მოსპეს კომუნის გეგმები და ხალხს ერთობაზე ფიქრიც კი სასტიკად აუკრძალეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაციმბირებით დაემუქრნენ.

გავიდა ხანი, ხალხის სანუკვარ ოცნებას ფრთები შეესხა — გულგულაში კოლმეურნეობა შეიქმნა, ცხოვრების პირობები ძირფესვიანად შეიცვალა.

თელავის რაიონში გულგულის მკვიდრთა შრომითი საქმიანობა სამაგალითოა. ყოველწლიურად მშვენდება სოფელი. მათ ხსოვნაში ცოცხლობს მოგონებები გულგულელ კომუნარებზე, რომლებიც გაბედულად იბრძოდნენ ხალხის მტრების წინააღმდეგ, ილვწოდნენ თავისუფალი შრომის უფლების მოსაპოვებლად.

შალვა მარკოზაშვილი.

# წმინდანი

● აკუტაგავა (1892-1927) იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც იაპონურ ლიტერატურას საერთაშორისო რეზონანსი შესძინა.

იგი სამწერლო ასპარეზზე ჩვენი საუკუნის ათიან წლებში გამოვიდა და სიკვდილამდე, რაღაც ათიოდე წლის მანძილზე, მოასწრო მთელი რიგი ბრწყინვალე ნაწარმოებების შექმნა, რომლებმაც იგი იაპონური ლიტერატურის კლასიკოსად აქციეს.

აკუტაგავას მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია სიძულვილი მილიტარიზმისა და სკეპტიციზმისადმი, ესოდენ მკვეთრად რომ გამოვლინდა მის ნაწერებში: „ჯოჯოხეთის წამებანი", „კაპა", „ერთი იდიოტის ცხოვრება" და სხვ.

იაპონიაში 1935 წლიდან დაწესებულია აკუტაგავას სახელობის ლიტერატურული პრემია, რომელიც ყოველწლიურად ენიჭება ახალგაზრდა მწერალს.

გთავაზობთ მწერლის ერთ-ერთ ნოველას.

## აკუტაგავა

მხატვარი
**თენგიზ სამსონაძე**

ძვირფასო მკითხველო!

მე ახლა ოსაკაში ვიმყოფები და ამიტომ მინდა ერთი აქაური ამბავი მოგითხროთ.

შორეულ წარსულში ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც ქალაქ ოსაკაში სამუშაოს საძებნელად ჩამოსულიყო. მისი ნამდვილი სახელი და გვარი არავინ იცოდა, მაგრამ რადგან სოფლელი გახლდათ, უბრალოდ გონსკეს ეძახდნენ.

ჰოდა, ერთხელ გონსკემ მოსამსახურეთა დამქირავებელი კანტორის ფარდა გადასწია, ოთახში შეალაჯა და პირში ჩიბუხგაჩრილ ჩინოვნიკს მიმართა:

— ბატონო ჩინოვნიკო, მინდა წმინდანი გავხდე. მომაწყვეთ ისეთ ადგილზე, სადაც წმინდანის ხელობას შემასწავლიან.

ამ სიტყვებზე ჩინოვნიკს ენა დაება და უაზრო გამომეტყველებით მიაშტერდა უცნაურ მთხოვნელს.

— ბატონო ჩინოვნიკო, არ გესმით, რას გეუბნებით? მინდა წმინდანი გავხდე, მომიძებნეთ შესაფერი სამსახური.

ჩინოვნიკი, როგორც იქნა, გონს მოეგო.

— გულწრფელად ვწუხვარ, — წაიბუტბუტა მან და თავის გრძელტარიან ჩიბუხს ლეჭვა დაუწყო, — მაგრამ ვინმე წმინდანად გაგვეშწესებინოს, ასეთი შემთხვევა ჩვენ პრაქტიკაში არა გვქონია. იქნებ სხვა კანტორისათვის მიგემართათ?!

— თქვენ, როგორც ჩანს, ვერ გამიგეთ; განა თქვენი კანტორის აბრაზე არ წერია „ვაწყობთ ყოველგვარ სამუშაოზეო"? ჰოდა, რაკი წერთ, „ყოველგვარზეო", კეთილი ინებეთ და მომაწყვეთ კიდეც!

— სწორი ბრძანებაა, ჩვენს აბრაზე სრული ჭეშმარიტება წერია, — სცადა თავის მართლება ჩინოვნიკმა, — ხვალ შემოიარეთ, მანამდე კი გავიკითხავ, ახლო-მახლო არის თუ არა რაიმე შესაფერისი.

ჩინოვნიკმა დროის მოგების მიზნით გონსკეს თხოვნა მიიღო, თორემ აბა სად უნდა ეშოვნა ისეთი ადგილი, სადაც წმინდანობას ასწავლიან? გააცილა თუ არა გონსკე, ნაცნობ მკურნალს მიაშურა და შეწუხებულმა ჰკითხა:

— სენსეი, როგორ მოვიქცე? ხომ არ გეგულებათ ისეთი ადგილი, სადაც წმინდანის ხელობას ასწავლიან?

ამ კითხვამ, რა თქმა უნდა, მკურნალიც დააბნია. იგი კარგა ხანს გაშტერებული შესცქეროდა ეზოს ბოლოში მდგარ უზარმაზარ ნაძვის ხეს. ამ დროს საუბარში მისი ცოლი ჩაერია, რომელსაც სიცბიერის გამო მეზობლებმა „ბებერი მელა" შეარქვეს.

— ეგ კაცი ჩვენ გამოგვიგზავნე, ორ-სამ წელიწადში შევასწავლი წმინდანის ხელობას! — დაამშვიდა მან ჩინოვნიკი.

— რას ბრძანებთ? გაგახაროთ ღმერთმა! — ჩინოვნიკი გახარებული წამოხტა, — რა კარგია თქვენთან რომ მოვედი... ულრმესი მადლობა, ყოველთვის მჯეროდა, რომ მკურნალს წმინდანთან ბევრი რამ აქვს საერთო!

ბრიყვი ჩინოვნიკი წელში ხუთად მოიხარა, მასპინძლებს თავი მდაბლად დაუკრა და წავიდა.

მკურნალი ცოლს მივარდა:

— ეს რა სისულელეები მოჩმახე? წარმოიდგინე რა აყალ-მაყალს ასტეხს ის ტეტია, როცა გაიგებს, რომ არავითარი უკვდავების წამლის საიდუმლო ჩვენ არ ვიცით?!

— ჯობს, ხმა ჩაიწყვიტო. შენისთანა პატიოსანი რეგვენის ხელში კაცს შიმშილით ამოხდება სული! — მიახალა ცოლმა და გამქირდავად ჩაიქირქილა.

მეორე დღეს გონსკე ჩინოვნიკთან ერთად მკურნალთან გამოცხადდა. ახლა მას ღერბიანი ხაორი ეცვა...

მკურნალი ისე ათვალიერებდა გონსკეს, თითქოს მის წინ უცხო ქვეყნიდან ჩამოყვანილი ნადირი იყო. შემდეგ თვალებში შეხედა და დაეჭვებით ჰკითხა:

— როგორც გავიგე, წმინდანობა გადაგიწყვეტია! რატომ დაგებადათ ასეთი სურვილი?!

— კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული მიზეზი არა მქონია. ერთხელ, ოსაკის ციხე-კოშკს რომ გავხედე, ვიფიქრე, თვით ისეთი გამოჩენილი ადამიანიც კი, როგორიც ტოიოტომი ხიდეიოსია, ბოლოს მაინც კვდება. ესე იგი, ადამიანმა რა დიდი საქმეებიც არ უნდა აკეთოს, მისი ბოლო მაინც სიკვდილია.

— მაშ, შენ მზად ხარ ყოველგვარი სამუშაო შეასრულო, ოღონდ კი წმინდანი გახდე? — ჩაერია საუბარში მკურნალის ცბიერი ცოლი.

— დიახ, მზად ვარ ყოველგვარ სამუშაოს მოვკიდო ხელი!

— კეთილი. ოცი წლის განმავლობაში მემსახურე და შემდეგ წმინდანობას შეგასწავლი!

— მართლა? რა ბედნიერებაა! ულრმესი მადლობა.

— ოღონდ იცოდე, ამ ხნის განმავლობაში უფასოდ უნდა მემსახურო.

— კი ბატონო, თანახმა ვარ!

იმ დღიდან მოყოლებული გონსკე ოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მკურნალს: წყალს ეზიდებოდა, შეშას აპობდა, სადილსამზადებდა, ეზოსა და სახლს ასუფთავებდა, ამასთანავე, როცა თავის პატრონს სამკურნალოდ დაჰყვებოდა, წამლებით სავსე ყუთს დაათრევდა. ოცი წლის მანძილზე მას გასამრჯელო არ უთხოვია... ასეთ ერთგულ მსახურს მთელს იაპონიაში ვერ ნახავდით.



გავიდა ოცი წელი. გონსკემ, ისევე როგორც პირველი სტუმრობის დროს, ღერბიანი ხაორი ჩაიცვა და პატრონებს წარუდგა. ჯერ მოწიწებით გადაუხადა მადლობა ოცი წლის განმავლობაში გაწეული სიკეთისათვის, ხოლო შემდეგ მორიდებით სთხოვა:

— მგონი დროა, ჩვენი პირობის თანახმად, რათა უკვდავებას ვეზიარო, წმინდანის ხელობა შემასწავლოთ!

მკურნალი დაიბნა. ხომ არ შეიძლება ოცი წლის მანძილზე ატყუო კაცი და ბოლოს გამოუტყდე, არავითარი წმინდანობის საიდუმლო არ ვიციო? ამიტომ ვერაფერი მოიფიქრა და ცივად უპასუხა:

— წმინდანობის საიდუმლოს შესწავლას მე კი არა, ჩემი ცოლი შეგპირდა, ჰოდა, კიდევაც გასწავლის.

ამ სიტყვებზე მკურნალმა გონსკეს ზურგი შეაქცია.

მკურნალის ცბიერ ცოლს თვალიც არ დუხამხამებია:

— როგორ არა, როგორ არა, გასწავლი მაგ საიდუმლოს, მაგრამ იცოდე, ზუსტად უნდა შეასრულო ყველა ჩემი ნება, თორემ წმინდანი ვერ გახდები და მოგიწევს კიდევ ოცი წლით მემსახურო. თუ ამაზე უარი თქვი, ღმერთი განრისხდება და სიკვდილით დაგსჯის.

— სხვა რა გზაა? შევეცდები, ყველა თქვენი ნება შევასრულო.

— აბა, დავიწყოთ. აძვერი ამ ნაძვზე! — ბრძანა მკურნალის ცოლმა. მან, რა თქმა უნდა, წმინდანობის არავითარი საიდუმლო არ იცოდა, მაგრამ ისეთი რთული დავალების მიცემა უნდოდა, რომ გონსკეს ოცი წელი უსასყიდლოდ კიდევ ემუშავა მასთან.

გონსკე ნაძვზე აძვრა.

— მაღლა, კიდევ უფრო მაღლა! — ასძახა მკურნალის ცოლმა, რომელიც ვერანდიდან უყურებდა ამ სანახაობას.

გონსკეს ღერბიანი ხაორი უკვე ნაძვის კენწეროზე ფრიალებდა.

— ახლა მარჯვენა ხელი გაუშვი!..

გონსკემ ფრთხილად გაუშვა მარჯვენა და მარცხენათი ჩაეჭიდა ტოტს.

— ახლა მარცხენა ხელიც გაუშვი!...

— დაიცა! — გაისმა მკურნალის ხმა, — ამ ტეტიამ მარცხენა ხელიც რომ გაუშვას, ხომ მიწაზე დაენარცხა და სულიც განუტევა?! — იგი შეშფოთებული გამოვარდა ვერანდაზე.

— სხვის საქმეში ნუ ერევი! ყველაფერი მე მომანდე... მაშ ასე, მარცხენაც გაუშვი!

მკურნალის ცოლს ეს სიტყვები ჯერ არ დაემთავრებინა, რომ გონსკემ მარცხენა ხელიც გაუშვა...

გონსკეს ღერბიანი ხაორი ხეს გასცილდა და ჰაერში აფრიალდა. მაგრამ გონსკეს ძირს ჩამოვარდნა არც უფიქრია — რაღაც სასწაულად ცაზე გაირინდა.

— დიდი მადლობა დახმარებისათვის. უთქვენოდ წმინდანი ვერასოდეს გავხდებოდი! — თავაზიანად წარმოსთქვა გონსკემ და ნელ-ნელა გაუჩინარდა ღრუბლებში.

გავიდა დრო. მკურნალისა და მისი მეუღლის ამბავი დავიწყებას მიეცა... ის ნაძვი კი, მათ ეზოში რომ იდგა, კიდევ დიდხანს შრიალებდა ქარსა და წვიმაში. ამბობენ, თვით ტაცუგორო იოდოიამ ბრძანა თავის ბაღში გადაერგათ ეს უზარმაზარი ხე, რათა ზამთარში მისი დათოვლილი კენწეროს ცქერით დამტკბარიყო.

თარგმნა **ნინო ხოფერიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახლი ვენახში





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგნატე ნინოშვილი.
მოსე თოიძის ნახატი.

— კიდევ ერთ ფაქტს მოგიყვებით, რომელიც ჟურნალ „დროშის" მკითხველებმა ალბათ არ იციან, — გვეუბნება ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი მიხეილ ვადაჭკორია და ფიქრებში წასული გასცქერის სივრცეს.

მწვანით დაბურულ ეზოში წაბლის ხით ნაგები ოდა-სახლი წამოჭიმულა. ამ სახლში ცხოვრობდა, ამ სახლში დაწერა თავისი ბევრი ნაწარმოები, ამ სახლში გარდაიცვალა ჩვენი ერის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი, ხალხის შემწე და თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ეგნატე ნინოშვილი.

მზრუნველ ხელს ედემის ბაღად უქცევია მწერლის კარ-მიდამო. ეზოში ამჟამად სამი შენობა დგას: ერთი 1884 წელს აშენებული ეგნატე ნინოშვილისეული ოდა-სახლია, მეორე და მესამე შენობა სახლ-მუზეუმის გახსნის შემდეგ აუშენებიათ; ერთი თანამშრომლების სამუშაოდ და ბიბლიოთეკისათვის არის გამიზნული, მარცხნივ კი საგამოფენო შენობა აღმართულა. ამ პატარა, კოხტა შენობაში გემოვნებითა და გააზრებულად არის ქრონოლოგიურად ექსპონირებული მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოსურათები, დოკუმენტები, სხვადასხვა საინტერესო ნივთები...



ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი მიხეილ ვადაჭკორია.

სამუშაო დღეა, ორშაბათი, სახლ-მუზეუმში უამრავი დამთვალიერებლები მოდიან. მოდიან ჯგუფ-ჯგუფად, მოდიან მსუბუქი ავტომანქანებით, ავტობუსებით, ფეხით.

მომიხდის ბოდიშს პატივცემული მიხეილი, დროებით მიმატოვებს, მწერლის სახლ-მუზეუმში მოსულ სტუმრებს გულდასმით აუხსნის, დეტალურად გააცნობს ყველაფერს და ისევ მომიბრუნდება.

აი ახლაც ფანჩატურის ქვეშ მიდგმულ მაგიდასთან ვსხედვართ.

დრო მოიხელთა დირექტორმა, გამიღიმა, ისევ ფიქრში წასული ხმით მითხრა:

— იმას მოგახსენებდით, კიდევ ერთი, არცთუ ისე ცნობილი ფაქტი უნდა მოგიყვეთ-მეთქი.

ჩემი მოსაუბრე წამით ჩერდება და მაშინვე მშვიდი ხმით განაგრძობს:

— ოზურგეთის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს ეგნატე ნინოშვილმა მოიწადინა, რომ დროის მოგების მიზნით წინა კლასის საგნებიც ჩაებარებინა. დაწერა განცხადება და დეკანოზ სიმონ ქორიძეს აახლა.

ცარიზმის დამქაშმა, შავრაზმელმა ქორიძემ, რომელიც ცნობილი იყო თავისი ავკაცობითა და მოსწავლეებისადმი უსულგულო დამოკიდებულებით, საგანგებო გამოცდა მოუწყო ეგნატეს.

საგამოცდო კომისიის წევრებში ჩამჯდარმა დეკანოზმა ირონიული ღიმილით უთხრა ფერმკრთალ და კაფანდარა ეგნატეს:

— წინა კლასს დამთავრებულად ჩაგითვლი, თუ მიპასუხებ ერთ კითხვაზე. აბა დაფიქრდი: ორჯერ ორი რამდენია?

ყმაწვილმა კარგად იგრძნო, რომ დეკანოზი დასცინოდა და მშვიდად უპასუხა:

— ორჯერ ორი ოთხას ორმოცდაათია! თუ გნებავთ, დაგიმტკიცებთ.

კომისიის წევრებმა პირი დააღეს.

— დაამტკიცე! — ჩაიქილიკა დეკანოზმა.

— ორჯერ ორი ხომ ოთხია? — თქვა ეგნატემ და დაფაზე ცარცით დაწერა ოთხი.

— ოთხია! — მიუგო დეკანოზმა.

— თუ ოთხია, ხუთი მეკუთვნის! — თქვა ეგნატემ და დაფაზე დაწერილ ოთხიანს ახლა ხუთიანი მიუწერა.

— ნული ვილას ეკუთვნის? — იკითხა კომისიის რომელიღაც წევრმა.

— დეკანოზს! — მოუჭრა მოსწავლემ, — ასეთი კითხვის დასმა, მაპატიეთ და, მეტს არ იმსახურებს.

ჩემი მოსაუბრე შეჩერდა და ღიმილით დაამთავრა:

— აი ასე იძია შური ჭაბუკმა ეგნატემ შავრაზმელზე... ბოდიში, სახლ-მუზეუმში სტუმრები გვეწვივნენ... დავბრუნდები და საუბარი გავაგრძელოთ.

გვიანობამდე ვსაუბრობდით.

და მე ვიგრძენი, არა, კი არ ვიგრძენი, ნათლად დავინახე, საქმით დავინახე, ყველა წვრილმანში მკაფიოდ ამოვიკითხე ის დიდი სიყვარული, რომელიც მიხეილ ვადაჭკორიას ამოძრავებდა.

სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ მის საქმიანობას?

მალე 30 წელი შესრულდება რაც პატივცემული მიხეილი ლანჩხუთის რაიონის სოფელ არჩეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორია. მხოლოდ წაბლის ხით ნაგები ოდა-სახლიდან და გაპარტახებული ეზოდან დაიწყო და აბა მიბრძანდით, ნახეთ, როგორ აგრძელებს?!

ეზო ვარდებით, აშოლტილი ხეხილითა და მოწანწკარე წყლით დამშვენებულა. ახლადაშენებული დამხმარე შენობები უამრავი ექსპონატებით ივსება და მდიდრდება.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ეგნატე ნინოშვილის ნათელი ხსოვნა შეუნელებელ ძიებას, ახლის მიგნებას, გამომზეურებას საჭიროებს.

მზე იწვერება. ჩრდილი ეცემა ტყეხუჭუჭა ბორცვებს. მოხტის და მოიმღერის უკანღელე.

მთის ეს მდინარე ძალიან, ძალიან უყვარდა მწერალს.

დაე, მარად ირაკრაკოს!

ელიზბარ მათითაშვილი

# მათი ჰობი



— ეს მარკები ჩვენ შევაგროვეთ.



ფილატელისტები ათვალიერებენ ახალ საფოსტო მარკებს.

დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც საფოსტო მარკით არ ესარგებლოს; მაგრამ შეიძლება ბევრმა მათგანმა არც კი იცის, რომ ეს პატარა, ჭრელი ქაღალდი, ზოგჯერ დიდი იდუმალებით არის მოცული, რომ თითოეულ მათგანს საკუთარი ისტორია აქვს.

ახალი საფოსტო მარკის დაბადება უმთავრესად ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებთან არის დაკავშირებული. იშვიათად ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ცალკეული სახელმწიფოებისა თუ კაცობრიობის ისტორიაში, რომ საფოსტო მარკითაც არ აღენიშნოთ.

ისინი მარტო ამა თუ იმ მოვლენათა უბრალო ამსახველნი როდი არიან; წარმოადგენენ რა თავისებურ იდეოლოგიურ იარაღს, საფოსტო მარკები ამტკიცებენ ახალს, უარყოფენ მცდარსა და ძველს.

საბჭოთა საფოსტო მარკებში შეძლებისდაგვარად ასახულია ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორია — მისი წარსული, მომავალი, მშრომელი ხალხის დღევანდელი შრომა და შემოქმედება. აი, ჩვენი საფოსტო მარკების აქტუალური თემები: „ლენინიანა", „ოქტომბრის რევოლუცია", „ინდუსტრიალიზაცია", „ავიაფოსტა", „კოსმოსი", „სპორტი", „ხელოვნება" და კიდევ სხვა მრავალი.

საფოსტო მარკების შეგროვებას, ე. ი. ფილატელიას ამ 130 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. სწორედ აქედან იწყება საფოსტო მარკების იშვიათი ნიმუშების კოლექციონერობა, როგორც პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების, მატერიალური კულტურის ძეგლების, მეცნიერების, ხელოვნებისა თუ ბუნების თავისებური შესწავლის საშუალება. ფილატელია აგრეთვე საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ადამიანთა გონიერ დასვენებას — კულტურულ და საერთო-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას უხამებს.

საინტერესოა, რომ ფილატელია არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძო კოლექციონერობით; საფოსტო მარკების შემგროვებლად ხშირად თვით სახელმწიფოებიც გვევლინებიან. მაგალითად, ძვირფასი კოლექციები გააჩნია ინგლისს, საფრანგეთს, შვეიცარიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვა ქვეყნებს.

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექცია საბჭოთა კავშირს აქვს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიაში პირველი საფოსტო მარკა, რომელიც „ტფილისური მარკის" სახელწოდებითაა ცნობილი, 1857 წლის 20 ივნისს ტფილისის საქალაქო ფოსტის მიერ არის დასტამბული. ეს მარკა ერთი წლით უსწრებს რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურად რეგისტრირებულ პირველ საფოსტო მარკას. ამჟამად შემორჩენილია „ტფილისური მარკის" მხოლოდ სამი ეგზემპლარი, რომლებიც საზღვარგარეთ კერძო კოლექციებში ინახება.

როგორც საფოსტო იშვიათობა, სწორედ ეს მარკა გახდა 1971 წელს ნიუ-იორკის აუქციონის სენსაციის მიზეზი, როცა იგი ძალიან ძვირად შეფასდა.

ჩვენში მარკების შემგროვებლები გაერთიანებულნი არიან ფილატელისტთა საზოგადოებებში (საქართველოს რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო განყოფილებები), რომლებიც მეტად საინტერესო და მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან.

საქართველოს ფილატელისტთა საზოგადოება ათასზე მეტ წევრს ითვლის; ესენი არიან მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, ინჟინრები, ექიმები, ეკონომისტები, მუშები თუ მოსამსახურეები. ისინი ხშირად ატარებენ საინტერესო ღონისძიებებს: ეწყობა გამოფენები, ლექციები, საუბრები და სხვა. ყოველივე ეს ხელს უწყობს ფილატელისტთა შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებას, საბჭოთა ფილატელიის შემდგომ განვითარებას, რაც მშრომელთა, ახალგაზრდობისა და ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საშუალებაა.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება — ფილატელისტთა რესპუბლიკური გამოფენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ დღეებში გაიხსნება.

საქართველოს ფილატელისტთა საზოგადოება უფრო საინტერესოდ წარმართავდა მუშაობას, მისი მოღვაწეობა უფრო ეფექტური და სრულყოფილი იქნებოდა, რომ გააჩნდეს ბინა — მუდმივი ადგილსამყოფელი, ისე, როგორც ეს მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებშია. ეს მეტად საჭირო საკითხია და მისი გადაჭრა სწრაფ დახმარებასა და მნიშვნელოვან მხარდაჭერას მოითხოვს.

ფილატელისტებს ყოველგვარი ხელშემწყობი პირობები უნდა შევუქმნათ, მათი მუშაობა უფრო საინტერესო და მახლობელი უნდა გახდეს, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წევრებისათვის.

**ნუნუ კუპარეიშვილი**

## კერავ ტკბილო...

მიმაქროლებს რკინის რაში,
ახლა მალე შევალ სკრაში,
შემოდგომის გაუვითლებულ ხშირ ფოთოლთა ტაშისკვრაში.

აუწონელ განძად მიღირს
სანახები უფლისციხის,
ჩემი უღელტეხილები: აქეთ ფონის, იქით ლიხის.

ქართლის გზებზე ვინ მომღიმის?
სანახები შიომღვიმის,
მალე ჟამი აჩეხვისა დაუდგება ალბათ ხიმინდს.

ოქტომბრის თვე დგება მზეში,
მინდვრებს სულ სხვა დაჰკრავთ ეშხი,
სიმღერისთვის, დიახ, მყოფნის სიხარული ერთი პეშვი.

გული თავად იწყებს ღიღინს,
ხმაში მომდევს სულ სხვა რიხი,
ჩემი რუხი ტრამალები აუწონელ განძად მიღირს.

მხოლოდ ქროლვა მენატრება,
სულ მამული მელანდება,
კერავ ტკბილო, შენი მიწით, დიახ, სავსე ყელამდე ვარ!

**აკაკი ძინძიბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ილუსტრაციები სულხან საბა ორბელიანის წიგნისათვის „სიბრძნე სიცრუისა“.







იყალთოს აკადემია (ტაძარი).

თარხან არჩვაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შათირიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იყალთო. „შოთაობაზე". მარჯვნიდან: ვასო გორძიშვილი, შოთა ძიძიგური, მიხეილ მრევლიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, გიორგი შათირიშვილი.

# იყალთოს აკადემიის ნაფუძარზე

ჟურნალ „დროშის" თანამშრომელი ო. დემეტრაშვილი შეხვდა თელავის რაიონის სოფელ იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შათირიშვილს და ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვა მისცა მას.

● პატივცემულო გიორგი, რას გვეტყვით იყალთოს აკადემიის შესახებ?

საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში არსებობდა განათლების თვალსაჩინო კერები. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ფოთის მახლობლად ქალაქ ფაზისში გაიხსნა „მჭევრმეტყველების სკოლა", რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლობდნენ.

საგანმანათლებლო კერები არსებობდა აგრეთვე ოშკში, იშხანში, ბანაში, ხანძთასა და საქართველოს სხვა დიდ მონასტრებში.

ჩვენმა წინაპრებმა — ბიზანტიის ტერიტორიაზე V საუკუნეში დააარსეს ლაზთა და ივერთა მონასტრები. განათლების ქართული ცენტრები იყო აგრეთვე სირიაში, პალესტინაში, ბულგარეთში, საბერძნეთში...

XII საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში კვლავ ინტენსიურად იწყებს აღორძინებას სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში, სხვა სწავლულებთან ერთად, საგანგებოდ მიიწვია დიდი მოაზროვნე და ჰუმანისტი არსენ ვაჩეს-ძე, რომელსაც ბიზანტიის აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

არსენ ვაჩეს-ძე, შემდგომში არსენ იყალთოელად წოდებული, გელათის აკადემიაში ჰუმანიტარულ საგნებთან ერთად ქართველ ახალგაზრდებს მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოთი თურმე ფიზიკასაც ასწავლიდა.

დავით აღმაშენებლის პირადი დავალებით, არსენ იყალთოელი მალე მშობლიურ სოფელში გამოემგზავრა და აღმოსავლეთ საქართველოში განათლების ახალი უდიდესი ქართული კერა — იყალთოს აკადემია დააარსა.

ხალხური გადმოცემით, ამ აკადემიაში სიჭაბუკის წლებში განათლება მიუღია ჩვენი ერის უპირველეს მშვენებასა და სიამაყეს, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელს შოთა რუსთაველს.

პროფესიით ისტორიკოსი არა ვარ, აი, რა შემიძლია გითხრათ იყალთოს უძველესი აკადემიის შესახებ.

აქვე მინდა დავძინო ისიც, რომ ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის იყალთოს აკადემიის შემოგარენს ჩვენმა მშრომელებმა დღეს ახალი, საბჭოური სული შთაბერეს.

როგორ გახდით იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორი?

საკუთარ თავზე ლაპარაკი, მოგეხსენებათ, ძნელია. თქვენს შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა კი სწორედ საკუთარ თავზე ლაპარაკს საჭიროებს. რა გაეწყობა! ვეცდები ლაკონიური ვიყო.

თბილისის მკვიდრი ვარ. 1961 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იყალთოში გამანაწილეს.

წარმტაცმა ბუნებამ, აქაურმა კეთილმა და გულმართალმა, გამრჯე ხალხმა, რა დასამალია, თავიდანვე დამატყვევა.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ თითქმის ყოველთვის იყალთოს აკადემიის ნანგრევებისაკენ მიმიწევდა ხოლმე გული.

დავაბიჯებდი უკვდავი შოთას, დიდი არსენ იყალთოელის, ჩვენი საამაყო წინაპრების ნაკვალევზე და თანდათან ფრთიანდებოდა აკვიატებული აზრი, თანდათან ღრმავდებოდა ჩემი დაუოკებელი სურვილი.

ჟამთა სიავემ, ჩემი ქვეყნის საწუთროს უკუღმართობამ საუკუნეთა მანძილზე ბევრი რამ დასცა და აღგავა პირისაგან მიწისა. გაპარტახდა ეს შემოგარენიც. მაგრამ აქ, ნანგრევებად ქცეული იყალთოს აკადემიის უწმინდეს ნაშთებზე, განა არ შეიძლებოდა კვლავაც აღგვედგინა და ესტაფეტასავით გაგვეგრძელებინა ჩვენი წინაპრების დიდი საგანმანათლებლო ტრადიციები? განა არ შეიძლებოდა შეგვექმნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც კომუნიზმის მშენებელ მშრო-



იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის 100 წლის სტუდენტს ეწვია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გ ი ო რ გ ა ძ ე (მარჯვნივ).

მელებში იდეოლოგიური მუშაობის, მათი შემდგომი განათლების, ცოდნის, კულტურის დონის ამაღლების, რელიგიური ცრურწმენის წინააღმდეგ დაპირისპირების, თავისუფალი დროის უფრო ეფექტიანად, უფრო გონივრულად გამოყენების ახალი მნიშვნელოვანი კერა გახდებოდა?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა!

ჩემს წამოწყებას მხარი დაუჭირა რაიონის ხელმძღვანელობამ. იყალთოში სახალხო უნივერსიტეტის დაარსების იდეა მაშინვე აიტაცეს მშრომელებმა.

იყვნენ სკეპტიკოსებიც.

მალე დაარსების თხუთმეტი წელი შეუსრულდება საბჭოური კულტურის ერთ-ერთ ახალ კერას — თელავის რაიონის სოფელ იყალთოს შოთა რუსთაველის კულტურის სახალხო უნივერსიტეტს.

სკეპტიკოსების დაეჭვებას თვითონ ცხოვრების სინამდვილემ გასცა საკადრისი პასუხი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნათქვამის დასადასტურებლად ესეც კმარა: იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტმა საკავშირო დათვალიერებაში სამჯერ მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია. გარდა ამისა, მონიჭებული გვაქვს საბჭოთა კავშირის საუკეთესო სახალხო უნივერსიტეტის საპატიო წოდება, მიღებული გვაქვს ბევრი მადლობა.

სწორედ ამაზე იტყვიან: საქმემან შენმა გამოგაჩინოსო!

რა ამოცანები დგას სახალხო უნივერსიტეტის წინაშე?

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სახალხო უნივერსიტეტები ცნო როგორც მასებში იდეოლოგიური მუშაობის, მშრომელთა მიერ თავიანთი განათლების, ცოდნის, კულტურის დონის ასამაღლებლად თავისუფალი დროის ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელოვანი ფორმა.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტს ამჟამად აქვს ოთხი ფაკულტეტი: პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, ლიტერატურისა და ხელოვნების, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო.

სახალხო უნივერსიტეტს მართავს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. გვაქვს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმა-პროგრამა.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მშრომელებისათვის არა მარტო საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებას, არამედ მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევას, საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების, ახალი რეზერვების გამოვლინებასა და შრომისნაყოფიერების ზრდას.

სახალხო უნივერსიტეტში საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტების საუბრებმა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხებზე, კოლმეურნეებს დიდი დახმარება გაუწია.

ჩვენი უნივერსიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მტკიცედ დამკვიდრდა სოფლის მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თავისუფალი დროის ორგანიზაციასა და რაციონალურ გამოყენებას, კულტურული დასვენების საქმეს, სპორტს, ექსკურსიებს.

იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მასებში იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის, სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდის, მშრომელთა კულტურისა და განათლების დონის ამაღლების, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის კერაა.

სახალხო უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს მასებთან მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. ეწყობა თემატური საღამოები, კონფერენციები, სამეცნიერო სესიები, კითხვა-პასუხის საღამოები, დისპუტები და დისკუსიები, სხვადასხვა შეხვედრები, სპექტაკლების საჯარო განხილვები და სხვა ღონისძიებები.

ამ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციები, გამოჩენილი ადამიანები, მოძმე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები.

აი, ამიტომაც არის, რომ იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი სოფლის მშრომელთა სულიერი, კულტურული ცხოვრების, მათი შრომისა და ყოფის განუყრელი ნაწილი გახდა.

რა სიახლენი დანერგა სახალხო უნივერსიტეტმა?

იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის მიერ დანერგილი ყველა სიახლისა და მასობრივ ღონისძიებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კონკრეტულად მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხები.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო რელიგიური დღესასწაულის „ამაღლების" ნაცვლად ჩვენი უნივერსიტეტის ინიციატივით სახალხო დღესასწაულის „შოთაობის" შემოღება და მტკიცედ დამკვიდრება.

„შოთაობა", რომელიც რელიგიურ დღეობას დავუპირისპირეთ, ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს იმართება. ეს დღესასწაული ჭეშმარიტად გადაიქცა შრომის, პოეზიის, ხალხთა მეგობრობის, ხალისიანი გართობა-დასვენების ახალ, თანამედროვე საბჭოურ დღესასწაულად.

„შოთაობაზე" თბილისიდან, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან უამრავი სტუმარი ჩამოდის.

იყალთოს აკადემის შემოგარენში — მწვანე აუდიტორიაში იმართება საუბრები, პოეტთა და სახალხო მთქმელთა გამოსვლები, საამოდ გაისმის ქართული ხალხური სიმღერები.

სხვადასხვა სპორტულ სანახაობას ბერიკაობა ენაცვლება, ეწყობა სამხატვრო გამოფენა, გამოდის ერთდროული გაზეთი „შოთაობა"...

სანიმუშოდ იქნა მიჩნეული აგრეთვე „შინმოუსვლელთა დღის" აღმნიშვნელი პრაქტიკა, რომელიც იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით დამკვიდრდა ჩვენს სოფელში.

საინტერესოდ ტარდება ეგრეთ წოდებული „იყალთოური საღამოები". სხვადასხვა მხატვრულ ღონისძიებასთან ერთად, „მრგვალ მაგიდასთან" ეწყობა საუბრები საინტერესო თემებზე: „ვისაუბროთ კულტურაზე", „შრომა და დასვენება", „მეგობრობა — როგორ გვესმის იგი?" „ვილაპარაკოთ ოჯახზე", „როგორ მოვუაროთ მოყინულ ვაზს", „ქართული ენის სიწმინდის დაცვა" და სხვა.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით მოეწყო საზოგადოებრივი მუზეუმი და წიგნთსაცავი. ისინი სისტემატურად ივსება სხვადასხვა ექსპონატებითა და წიგნების უნიკალური ეგზემპლარებით.

დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის კეთილმოწყობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დროულად ჩატარებას.

სახალხო უნივერსიტეტი ყოველმხრივ ცდილობს დროულად აუბას მხარი ჩვენი დღევანდელი დღის მჩქეფარე ცხოვრებას.

თქვენი უახლოესი ამოცანები?

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტს ამჟამად უამრავი მსმენელი ჰყავს. ხშირად შემოდის ახალი განცხადებები, რომლებშიც მშრომელები თხოულობენ სახალხო უნივერსიტეტში მსმენელად ჩარიცხვას.

დიდი და მრავალფეროვანია ჩვენი უახლოესი ამოცანები.

სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით იყალთოს აკადემიის შემოგარენისაკენ მიმავალ გზაზე მალე აღიმართება „ვაი უმეს" ძეგლი, რომელიც ჩვენს იდეალს — ყოველმხრივ სრულყოფილ საბჭოთა ადამიანს მიეძღვნება.

იყალთოს კერამიკული ხელოვნების დიდი ტრადიციები აქვს. გადაწყვეტილი გვაქვს, უახლოეს ხანში გავხსნათ მეთუნეობის ფაკულტეტი; ჩამოვაყალიბებთ ძველი ქართული სიმღერების შემსწავლელ სტუდიას, კინო და ფოტომოყვარულთა წრეებს...

კვლავაც განუხრელად ვიხელმძღვანელებთ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მომდევნო პლენუმების დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით. განვახორციელებთ ქმედით ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის მშრომელებთან განვამტკიცოთ აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მავნე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაში.

იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სოფლის მშრომელთა სოციალისტური აქტივობის ამაღლებით, სოციალისტური ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებით პირნათლად შევეგებოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

რედაქციისაგან: იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის მდიდარი გამოცდილება საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. სოფლად საბჭოთა ცხოვრების წესის, ახალი ყოფისა და კულტურის დამკვიდრების ეს თვალსაჩინო კერა მისაბაძია სხვებისთვისაც. ძველი ისტორიული კერების ნაფუძარზე, იყალთოს მსგავსად, თანამედროვე ცხოვრების შუქნათელი ჩირაღდნები უნდა ავაგიზგიზოთ.



იყალთო. ძვირფასი სტუმრები „შოთაობაზე".

# ცხელ-ცხელი ამბები

## შეტევა მოიგერია

ეს ამბავი უკრაინაში, ზაპოროჟიეს ოლქში მოხდა.

მუშა ვ. ანტონოვი ველოსიპედით მიემგზავრებოდა სოფელში, როცა მოულოდნელად მშიერი არწივი დაესხა თავზე. შეშინებულმა მგზავრმა ყვირილი მორთო, ორივე ხელით ველოსიპედი აიფარა თავზე და ფრინველთა მეფის შეტევა მოიგერია.

არწივი ცაში აიჭრა და კარგა ხანი ზემოდან მიაცილებდა ვ. ანტონოვს.

## კონსერვებს ინახავს ქვიშა

მოძმე ლატვიაში მებადურთა სოფელ სმილტინის მკვიდრმა ს. გირდვანენმა ამას წინათ ქვიშაში შემთხვევით იპოვა კონსერვები.

სპეციალისტებმა გულდასმით შეისწავლეს ქვიშაში ორმოცი წლის მანძილზე ჩამარხული კონსერვები. ყველა კონსერვი კარგად შენახული და საკვებად გამოსადეგი გამოდგა.

სპეციალისტები ახლა გულდასმით სწავლობენ ქვიშას, რომელმაც ასე დიდი ხნის მანძილზე უვნებლად შეინახა კონსერვები.

## აქ იყო ზღვა

პამირის მთიანეთში, ზღვის დონიდან დაახლოებით სამი ათას მეტრ სიმაღლეზე, სტუდენტმა-გეოლოგებმა შემთხვევით მიაკვლიეს კარგად შენახულ... ზვიგენის ჩონჩხს.

ამ ნაპოვმა დაადასტურა სწავლულთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალი მილიონი წლის წინათ პამირის მთიანეთის ადგილზე ზღვა იყო მოთავსებული.

## იშვიათი შემთხვევა

მოსკოვის მახლობლად, რუზსკის წყალსაცავში ამას წინათ თევზაობის მოყვარულებმა დაიჭირეს უზარმაზარი ქარიყლაპია, რომლის წონა 16 კილოგრამი და 200 გრამი იყო.

ასეთი დიდი ქარიყლაპიის დაჭერა იშვიათი შემთხვევაა.

## მაცოცხლებელი წყალი

გეოლოგებმა ყარაყუმის წიაღში ამას წინათ აღმოაჩინეს რამდენიმე წყალუხვი მდინარე და დიდი ტბა.

უახლოეს წლებში განზრახულია გაითხაროს ასობით ახალი ჭა. მიწისქვეშა წყალსატევებიდან ამოხეთქილი წყალი ახალ სიცოცხლეს შემატებს უდაბნოს.

## გიგანტური კარტოფილი

ბელორუსიაში, გომელის მახლობლად ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში გიგანტური კარტოფილი მოიყვანეს. მისი წონა 1 კილოგრამი და 530 გრამია.

საბჭოთა მეურნეობაში ეს გიგანტური კარტოფილი დასათესად შეინახეს.

## კორეულ-რუსული ლექსიკონი

საბჭოთა და კორეელმა ფილოლოგებმა დაამთავრეს თავიანთი მრავალწლიანი ერთობლივი მუშაობა.

გამომცემლობა „რუსკი იაზიკმა“ ამას წინათ გამოსცა მოძმე სპეციალისტების მიერ შედგენილი კორეულ-რუსული დიდი ლექსიკონი, რომელიც 150.000 სიტყვას შეიცავს.

## ეკოლოგიური რუკა

დაიწყეს ლენინგრადის ეკოლოგიური რუკის შედგენა.

რუკა მეცნიერულად ასახავს ქალაქის კლიმატს, ბუნებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალი საცხოვრებელი კვარტალების უკეთ დაგეგმვას, საწარმოთა მუშაობის რეჟიმის გაუმჯობესებას ჩვენი სამშობლოს სიდიდით მეორე ქალაქში.

## ფონდი შეივსო

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდში 43 ათასზე მეტი ხელნაწერი და ძველი წიგნი ინახება: აზერბაიჯანულ, ტაჯიკურ, ქართულ, სომხურ, არაბულ, თურქულ და სხვა ენებზე.

ამ ფონდს ახლახან 400 ახალი ძვირფასი ეგზემპლარი შეემატა.

## ახალი მეთოდი

ყაზახმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს ნივრის შენახვის ახალი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით ნიორი 6-8 თვის განმავლობაში უცვლელად ინარჩუნებს თავის სიახლესა და გემოს.

ნივრის შენახვის ეს ახალი მეთოდი მალე მოძმე რესპუბლიკებშიც დაინერგება.

ცხელ-ცხელი ამბები

25063

ბუნების

# უცნაური თევზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებაში თევზების 20 ათასამდე სახეობაა. სარჩოს მოსაპოვებლად, მტრის თავდასხმის მოსაგერიებლად, გასამრავლებლად ბუნებას მათთვის მრავალი საოცარი თვისება მიუნიჭებია. გვხვდებიან ისეთი თევზები, რომელთა მოქმედება ზღვის კურორტზე ჩამოსულ დამსვენებლებს გვაგონებს: ეს თევზები ზღვის სანაპიროზე ქვიშაზე გორაობენ, მზეს ეფიცხებიან, შემდეგ კი ხის ტოტებზე აცოცდებიან და რამდენიმე წუთი ჩრდილში ნებივრობენ. ასეთი ცხოვრების წესი აქვს აფრიკის სანაპიროს ბინადარს, პატარა თევზს ბომს, რომელიც საშიშროების მოახლოებისას ორი მეტრის სიმაღლიდანაც ხტება წყალში, ხოლო თუ იქაც გამოეკიდა მტერი, ახლა წყლიდან ამოხტება ხოლმე საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

ერთხელ შავ ზღვაში მეთევზეებმა დაიჭირეს კეფალი, რომელსაც თავზე წყალმცენარე ამოსვლოდა. თევზის სიგრძე 10 სანტიმეტრს, მის თავზე ამოსული წყალმცენარის სიგრძე კი 15,5 სანტიმეტრს აღწევდა. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ამ თევზს ოდესღაც თავის კანი გაკაწვრია, ჭრილობაში შემთხვევით წყალმცენარის სპორა ჩავარდნია და განვითარების ხელსაყრელი პირობების გამო სწრაფად განვითარებულა.

ზღვის ბევრ ბინადარს აქვს სინათლის გამოშუქების უნარი. მანათობელ თევზთა შორის ყურადღებას იქცევს ეტოპირიი. ამ თევზის ტანი მანათობელი წერტილებით არის დაფარული, ხოლო პირი და თვალები უფრო ძლიერ შუქს ასხივებენ. განსაკუთრებით საინტერესო სანახავია ევროპის ზღვებში გავრცელებული პატარა თევზი მავრილკა, რომელსაც სხეულზე 45-მდე სხვადასხვა სიძლიერის მანათობელი რგოლი აქვს მიმობნეული.

ტაილანდის მდინარეებში ბინადრობენ პატარა (10-13 სმ სიგრძის) თევზები — სნაიპერები. ისინი მთელი დღის განმავლობაში დაცურავენ მდინარის ნაპირებთან და უმთავრესად სხვადასხვა მწერებით იკვებებიან. სნაიპერები მდინარის სანაპიროზე წამოზრდილ მცენარეებს არ აშორებენ თვალს. როგორც კი ამ მცენარეების ტოტებზე მწერი დაჯდება, სნაიპერები უმალ წყლიდან ამოჰყოფენ თავს, პირს დააღებენ და წყლის წვრილ ჭავლს მიასხურებენ მსხვერპლს.

თევზი დაახლოებით სამ მეტრამდე აფრქვევს წყლის ჭავლს და სნაიპერივით თითქმის არასოდეს არ აცდენს მიზანს.

არიან ე. წ. მფრინავი თევზები. ისინი ზღვისა და ოკეანის ტალღებზე დაცურავენ. უმთავრესად მწერებით იკვებებიან. ნადირობით გატაცებულ თევზებს ზოგჯერ 200 მეტრ მანძილზე უხდებათ გადაფრენა.

მფრინავი თევზი თავისი გემოთი ძალიან წააგავს შავი ზღვის კეფალს; მისი ხორცი უფხოა და საკმაოდ გემრიელი.

ოკეანოგრაფი ბ. შლიამინი, რომელიც ვეშაპებზე მონადირე ერთ-ერთ ხომალდზე იმყოფებოდა, ასეთ სასაცილო ეპიზოდს აგვიწერს:

„ერთხელ მფრინავი თევზი მოხვდა კაიუტის ღია ილუმინატორში და პირდაპირ დაეცა საწოლზე, რომელზეც ეძინა სიცხისაგან მოთენთილ კაპიტნის თანაშემწეს. თევზმა იმდენად გააგრილა და სიმხნევე შემატა მას, რომ კაპიტნის თანაშემწე ილლიაში ამოჩრილი თევზით ელვის სისწრაფით გამოიჭრა გემბანზე“.

ინდოეთისა და ატლანტიის ოკეანეში ზოგიერთი სახეობის თევზი გარკვეულ ბგერებს გამოსცემს. არიან ისეთი თევზებიც, რომლებსაც მშვენიერი გალობა შეუძლიათ. მოგზაურები მოგვითხრობენ, რომ გემბანზე ხშირად მოისმის ხოლმე საამო ჰანგები. ამ ჰანგებს „მღერიან“ თევზები, რომლებსაც „მედოლეებს“ ეძახიან. ისინი მეტრ-ნახევრამდე იზრდებიან და ტანზე ქერცლის ფერადი „ფრაკები აცვიათ“.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ. ზღვებსა და ოკეანეებში მობინადრე ცხოველთა შორის კი ბევრი რამ არის საოცარი და საინტერესო, ბევრი რამ კი ადამიანის მიერ მომავალ შესწავლასა და ამოცნობას მოელის.

გიორგი დათუაშვილი.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყრმა სწავლაში მომშვილდებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის გამზირის ორივე მხარეს მრავალსართულიანი შენობები ჩამწკრივებულა. გამზირზე ერთი შენობა შორიდანვე გამოირჩევა; დიდი თუ პატარა ყველა ჩერდება ამ შენობის წინ და აკვირდება ვიტრინაში გამოფენილ ზღაპრის პერსონაჟებს, გმირი პიონერებისა და კომკავშირლების სურათებს, წარწერებს, ახალ წიგნებს.

ეს შენობა საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკაა. არსებობის ათ წელს ითვლის ბიბლიოთეკა, ათი წელი არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ბიბლიოთეკაში იმისათვის, რომ ბავშვებმა წიგნი შეიყვარონ.

ამბობენ, ბუნების სურვილია, რომ ბავშვები, ვიდრე დიდები გახდებიან, ბავშვები იყვნენო, მაგრამ ისიც ხომ უთქვამთ, — რკინა ცეცხლში გარბილდების, ყრმა სწავლაში მომშვილდებისო. ეს აზრი გაგიელვებთ გონებაში უმცროსი ასაკის მკითხველთა განყოფილებაში რომ შეხვალთ, აქ მუდამ ფუსფუსია, ზოგი წიგნს ჩაჰკირკიტებს, ზოგი ბიბლიოთეკარს სთხოვს საინტერესო წიგნი შეურჩიოს, ზოგი უკვე შეჩვევია დამოუკიდებლობას და ილუსტრირებულ თუ შირმა-კატალოგს ფურცლავს. იქვე ოქტომბრელები შეჯგუფებულან — ახალ ლიტერატურულ დილას ამზადებენ. ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება ლიტერატურული დილა სხვადასხვა თემაზე შერჩეული მხატვრულ-მინიატურული წარმოდგენები, აი, ზოგიერთი მათგანი: „ჩვენი ნორჩი გული სამშობლოსთვის ძგერს“, „დაე, მუდამ იყოს მზე“, . „სამშობლოს ცა არ დაიბინდება“, „ვინა ვართ ჩვენ“ და მრავალი სხვა.

ნორჩ მკითხველს აქ მოსვლა ყოველთვის უხარია (ერთადერთი ბიბლიოთეკა რესპუბლიკაში, სადაც ყველა დარბაზი აუდიოვიზირებულია), აქ ხან მულტფილმებს უჩვენებენ, ხან სასწავლო დიაფილმებს, ხან ექსკურსიებზე მიჰყავთ ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად (ავლაბრის სტამბაში, გამომცემლობა „ნაკადულის“ სტამბაში, ვ. ი ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, გამარჯვების პარკში).

ბიბლიოთეკის მუშაკები ყურადღებას არ აკლებენ უფროსი ასაკის მკითხველებსაც. მათი დარბაზი შედარებით მოზრდილია და ბევრ წიგნსაც იტევს. უმცროსი ასაკის მკითხველთა დარბაზის მსგავსად, წიგნები აქაც დიფერენცირებულია კლასების მიხედვით. აქ შედარებით სიწყნარეა, მოზრდილები უფრო სერიოზულ საკითხებზე მსჯელობენ, ხელმძღვანელებთან ერთად აჯამებენ კონკურსის — „ათი წიგნი — ათი შთაბეჭდილება“ შედეგებს. „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მეათე ხუთწლედში“, — ასეთია მათი ახალი საკონფერენციო თემა.

ბიბლიოთეკა ამჟამად რესპუბლიკის მასშტაბით აწყობს კონკურს-ვიქტორინას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი·წლისთავთან დაკავშირებით.



საინტერესო და მრავალფეროვანია ნორჩ მკითხველთა მუშაობა ბიბლიოთეკაში. აწყობენ კონფერენციებს, ვიქტორინებს, კონკურსებს, იწვევენ რევოლუციისა და ომის ვეტერანებს, წარმოების მოწინავეებს, სოციალისტური შრომის გმირებს: ლ. კემაშვილს, გ. კურტანიძესა და სხვებს.

ნორჩ მკითხველებს ყველაზე მეტად უხარიათ შეხვედრა მწერლებთან, პოეტებთან. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან: ხ. ბერულავა, ჯ. ჩარკვიანი, მ. ფოცხიშვილი, გ. კაჭახიძე, ა. სულაკაური. ისინი უკითხავენ ლექსებს, იხილავენ საინტერესო ნაწარმოებებს, შემდეგ კი მოსწავლეები აცნობენ საკუთარ შემოქმედებას: საკუთარ ლექსებს, ბიბლიოთეკაში მოწყობილ გამოფენებს, დიდი გულისყურით შესრულებულ ნახატებსა და ჭედურ ნამუშევრებს.



## ძველი პრესის ფურცლებიდან

●

სახელმწიფო საბჭოს ერთმა ახალგაზრდა მოხელემ ტალეირანი ინახულა და უთხრა თავისი გულწრფელობისა და გულახდილობის ამბავი.

— ჯერ კიდევ ყმაწვილი ხართ, — უთხრა ტალეირანმა, — იცოდეთ, მჭევრმეტყველების ნიჭი ადამიანს იმიტომ აქვს მომადლებული, რომ თავისი აზრი დამალოს და ნილაბაფარებით გამოსთქვას რაც სათქმელი აქვსო.

●

ჩიკაგოს გაზეთში ასეთი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა ვიღაცა ქალმა:

— არ ვიცი, მომპარეს თუ გამექცა ის არსება, რომელსაც ჩემი სისულელის გამო მივთხოვდი, მაშინ, როდესაც დაობლებულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ იმდენად ზარმაცი კი ვიყავი, რომ დამეზარა სხვა მომენახა. ის გვარიანი შეხედულებისაა, მაგრამ საშინელი უხასიათოა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ჭკვიანია, ასე, რომ წვიმის დროს ყოველთვის სახლში ბრუნდებოდა ხოლმე, თუ რომელიმე ცქრიალა გოგონა თავის ქოლგას ათხოვებდა. სახელად „ტომი“ ჰქვია. უკანასკნელად ვნახე იულია მარისთან და ისეთივე ტუტუცი მეჩვენა, როგორც ყოველთვის, ვინც დაიჭერს და მომგვრის ამ პატარა და საბრალო ეშმაკს, რათა შევძლო სამუდამოდ აღმოვფხვრა იმის გულიდან საძაგელი ჩვეულება — ქალების დევნა, მას დიდი სიამოვნებით მოვიწვევ ჩაიზე.

●

ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს, რომელსაც თბილისის ქუჩების ტკეპნა მოსწყინდა, ახლა სოფელში წამობრძანდა სათარეშოთ. სოფელში მას ვილაცასთან ჩხუბი მოუვიდა, რისთვისაც სოფლის მამასახლისმა მიიხმო სოფლის სამსჯავროში და სამი დღით პატიმრობა მიუსაჯა. ყმაწვილმა კაცმა ეს იწყინა და შეეკითხა სოფლის „ტეტიათა მამასახლისს“:

— რომელი მუხლის ძალით გადამიწყვიტეთ სასჯელი?

მამასახლისს ეგონა, რომ მის საკუთარ მუხლზე ეკითხებოდნენ და რომ ეჩვენებინა, რომელი მუხლის ძალით გადაუწყვიტა პატიმრობა, დაიკრა მარჯვენა მუხლზე ხელი და უთხრა:

— აი, ამ მუხლის ძალითო.

და მართლაც იმავე მუხლის ძალით შეაგდო დამნაშავე სოფლის საპატიმროში.

# ეროვნული ბიბლიოთეკა



თარხან არჩვაძის
ფოტო

ხალხმრავლობა ყველაზე მეტად სანოტო-სამუსიკო დარბაზში იგრძნობა. აქ ყველა გარინდებულია, მისხდომიან მაგიდებს გოგო-ბიჭები და ვინ საყვარელ მელოდიას ისმენს, ვინ პიანინოს მისჯდომია და საინტერესო ნაწარმოების შერჩევას ცდილობს, ბიბლიოთეკარი საგულისხმო დარიგებებს აძლევს ნორჩ მუსიკის მოყვარულთ.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდში 165.442 წიგნია. ბიბლიოთეკას თვრამეტიათასზე მეტი მკითხველი ჰყავს.

მოდიან, მოუხარიათ ქართველ, რუს, სომეხ ბავშვებს, ყველას ერთნაირი გულისხმიერება და ყურადღება სჭირდება. სამოცდაათი ბიბლიოთეკარი (უმრავლესობა უმაღლეს დამთავრებულია, ზოგი რესპ. დამსახურებული ბიბლიოთეკარია, ზოგი საპატიო ბიბლიოთეკარი): ქეთევან სადარეიშვილი, ლამარა ვასაძე, ნუნუ ლორია, გულიკო ენუქიძე, ნათელა დევაძე, ბიბლიოთეკის დირექტორი გრიგოლ მუხაშარია დაუღალავად იღწვიან, რათა სამშობლოს ღირსეული მომავალი აღუზარდონ.

ნუნუ გელაძე.





# იშვიათი პროფესიების ადამიანები

მსოფლიოში მრავალი პროფესიაა ცნობილი. არსებობს ისეთი პროფესიებიც, რომლებიც შედარებით ნაკლებად, ანდა სრულიად უცნობია ჩვენი მკითხველებისათვის. ეს უცნაური, მართლაცდა კურიოზული პროფესიები, ეჭვს გარეშეა, ღიმილსა და ერთგვარ გაოცებასაც იწვევს.

აი რამდენიმე მათგანი:

●

მინესოტის შტატის (აშშ) ერთ-ერთ საპნის ქარხანაში არსებობს ე. წ. „დეგუსტატორის" თანამდებობა. ამ თანამდებობაზე მომუშავე ადამიანი მოვალეა დაიგემოვნოს ქარხნის მიერ გამოშვებული ყოველგვარი სახეობისა და ჯარისხის საპონი.

„დეგუსტატორმა პირადი გაანალიზებით" უნდა დაადგინოს საპონში შემავალი ნივთიერებების ოდენობა.

●

ამერიკელი ჰარი სმიტი „ტკბილი" პროფესიის წარმომადგენელია. მისი მოვალეობა იმაში გამოიხატება, რომ შოკოლადის ფაბრიკის მიერ დამზადებული ყველა სახის ნაწარმის გემო გასინჯოს.

აი სწორედ ამ სპეციალისტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზეა არსებითად დამოკიდებული ფაბრიკის მიერ დამზადებული ახალი პროდუქცია დაინერგება თუ არა წარმოებაში.

●

ლონდონში ცხოვრობს უცნაური პროფესიის „დეგუსტატორი", რომელსაც შეუძლია შეუცდომლად განასხვაოს ერთმანეთისაგან 17 სხვადასხვა სახეობის ჩვეულებრივი სასმელი წყალი. მის შეხედულებაზე და გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობისათვის სათანადო სასმელი წყლის მიწოდება.

●

ნიუ-ორკში მცხოვრები ვინსენტ პიტერსონის პროფესია — კატების გადარჩენაა. ყოველწლიურად იგი დაახლოებით 2 ათასამდე განწირულ კატას უნარჩუნებს სიცოცხლეს. ცხოველთა დაცვის კომუნალური მმართველობის თანამშრომელი ვინსენტ პიტერსონი კატების გადასარჩენად სისტემატურად ძვრება კანალიზაციის ლუკებში, ორმოებში, მანქანების ქვეშ...

ასეა, პროფესია თავისას მოითხოვს; კატების გადარჩენას თავგანწირვა სჭირდება!

●

არსებობს მყეფავის პროფესიაც.

შვეციელი ელფრიდ კარლსონი ზედმიწევნით ზუსტად დაეუფლა ოცი სახეობის ძაღლის ყეფას.

საქმე იმაშია, რომ მოქალაქეები, რომლებმაც ძაღლების შენახვისათვის გარკვეული თანხა უნდა გადაიხადონ, ხშირად მოხერხებულად მალავენ თავიანთ ოთხფეხებს და თავს არიდებენ გადასახადს.

ელფრიდ კარლსონი შედის რომელიმე სახლში და იწყებს გაავებულ ყეფას; კარს იქით, თუ კი იქ ძაღლია, მაშინვე გაისმის საპასუხო ყეფა.

მყეფავი ადამიანი იწერს მისამართს, ძაღლის ჯიშს და მეპატრონე მალევე იღებს გადასახადის ქვითარს.

# უცხოეთის სპორტული ამბები

## ენერგიული მენაჯერი

ინგლისის ფეხბურთის კლუბი „ნიუპორტი“ ფინანსური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, მაშინ მან ასეთი გამოსავალი მონახა — გუნდის მენაჯერად დაინიშნა ცნობილი სპეციალისტი ნახმარი ავტომანქანების გაყიდვის საქმეში სირილ როჯერსი. როჯერსი ენერგიულად შეუდგა საქმეს — პირველივე მატჩზე მაყურებელთათვის სპორტული ვიქტორინა მოაწყო, რომელშიც გამარჯვებულები ჯილდოდ იღებდნენ... ნახმარ მანქანებს. „ნიუპორტის“ სტადიონზე მაყურებლის რიცხვმა მკვეთრად იმატა, თუმცა ცხადია, ამ გუნდის კლასი ისეთივე დარჩა.

## ალი ყველაფერში წინაა

მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა კრივში მუჰამედ ალიმ ამას წინათ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აღშფოთებას ვერ მალავს. როდესაც ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რაში იყო საქმე, გამოირკვა, რომ ამასწინათ გამოსულ კრივის ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნში ალის ერთ-ერთი წინამორბედი ჯიმ ტანი გამოცხადებულა „ყველაზე ინტელექტუალურ მოკრივედ“.

ალიმ თქვა: „მასზე წერენ, რომ იგი რინგზე გამოსვლის წინ წიგნებს გასახდელშიც კი კითხულობდა, რა არის აქ განსაკუთრებული? იგი სხვის წიგნებს კითხულობდა, მე კი საკუთარი დავწერე. გარდა ამისა, ოქსფორდის უნივერსიტეტმა მას კი არა, მე მომანიჭა ფილოსოფიის დოქტორის საპატიო წოდება“.

## პროფესიული ფეხბურთის სამი ნაკლი

განთქმულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა იოჰან კრუიფმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა — ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა. მაგრამ თუ პროფესიულ ფეხბურთზე ვილაპარაკებთ, წლიდან წლამდე სულ უფრო ვგრძნობ მის სამ ძირითად ნაკლს: 1) სეზონი ძალიან ადრე იწყება; 2) ძალიან გვიან მთავრდება; 3) სეზონის დასაწყისსა და დასასრულს შორის ძალზე ბევრი მატჩი ტარდება.

## ძნელია იუბილარი გახდე

განთქმულ ბრაზილიელ თავდამსხმელს ჟაირზინიოს ბრაზილიის ნაკრებში 99 მატჩი აქვს გამართული, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებს მეასე ითამაშოს. საქმე იმაშია, რომ ჟაირზინიო უკვე ველარ თამაშობს უწინდელი ძალით.

„ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მეუბნება, — განაცხადა ჟაირზინიომ —რომ მხოლოდ ერთი პირობით მომცემს ნებას ვითამაშო საიუბილეო, მეასე მატჩი. იგი აუცილებლად უნდა იყოს ჩემი უკანასკნელი, გამოსათხოვარი მატჩიც“.

## „კაიზერი“ კონკურენციის გარეშე

ევროპის 1976 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გფრ-ის ნაკრების კაპიტანი ფრანც ბეკენბაუერი კაიროში ესწრებოდა ერთი თავისი მეგობრის დასავლეთ გერმანელი მოიჯარეს ქორწილს ეგვიპტის პრეზიდენტ სადათის ქალიშვილ ია ხანთან. როგორც ჟურნალისტებმა გამოთვალეს, მან ავტოგრაფების მოყვარულთ ხუთჯერ უფრო მეტი ავტოგრაფი მისცა, ვიდრე მთავრობის ყველა მეთაურმა, მინისტრმა თუ პრინცმა, ამ ქორწილს რომ ესწრებოდნენ.

## ფლორიდელი „თანამოქალაქეები“

ლენინგრადის „ზენიტი“ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვია, სადაც ფლორიდის შტატში სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „სანკტ-პიტერსბურგს მონიტორმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ვემზადებით „თანამოქალაქეებთან“ შესახვედრად, სადაც აუხსნა მკითხველებს, რომ ამ ამერიკულმა ქალაქმა სახელწოდება მიიღო სანკტ-პეტერბურგისაგან, რომელიც შემდეგ პეტროგრადი, ბოლოს კი ლენინგრადი გახდა.

ამიტომ არიან ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელები ამერიკული „სანკ-პიტერსბურგის“ გუნდის „თანამოქალაქეები“.

# თითქმის დაუჯერებელი

□

ავსტრალიაში ქალაქ განდაგას მახლობლად ძეგლი დაუდგეს ადამიანის ერთგულ მეგობარს... ძაღლს.

რომის ერთ-ერთ პარკში ძეგლი დაუდგეს.. სახედარს.

ამას წინათ კანარის კუნძულ ლანსაროტში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ადამიანის მომთმენი მეგობრის... აქლემის ძეგლი.

□

ამერიკელი ჩარლზ სანდლერი წლების მანძილზე ამზადებდა ყალბ ბანკნოტებს.

ამას წინათ იგი დააპატიმრეს. საქმე იმაში გახლდათ, რომ გათამამებულმა ჩარლზ სანდლერმა ახალგამოშვებულ რამდენიმე ყალბ ფულზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პორტრეტის ნაცვლად, თავისი საკუთარი პორტრეტი მოათავსა.

□

რომში დაარსდა კიდევ ერთი ორიგინალური კლუბი. ამ კლუბის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც ყოველგვარი დამხმარე საშუალების გარეშე, შეუძლია ოცჯერ მაინც... დააცემინოს.

კლუბის პრეზიდენტი ა. მარეა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ დაცემინება ადამიანის კარგ ჯანმრთელობაზე მეტყველებს, სუსტი ადამიანები კი ძალდატანების გარეშე ბევრჯერ ვერ აცემინებენო.

□

ამერიკელი სპეციალისტები უამრავი ფაქტის გაანალიზების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ავტომანქანების ავარიებში უცოლო კაცები 4-ჯერ უფრო მეტად არიან ხოლმე დამნაშავეები, ვიდრე ცოლშვილიანი კაცები.

□

ინგლისში არსებობს საზოგადოება, რომლის წევრები არიან... სადღეგრძელოების წარმომთქმელნი.

ყოველწლიურად ეწყობა ე. წ. სადღეგრძელოების კონკურსი. ვინც საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე საუკეთესო სადღეგრძელოს წარმოთქვამს, საზეიმო ვითარებაში ჯილდოვდება.

□

შვეიცარიის ერთ-ერთმა ფირმამ ამას წინათ მოჩქარე ადამიანებისათვის გამოუშვა სქელლანჩიანი ფეხსაცმელები, რომლებზეც ლითონის პატარა გორგოლაჭებია ჩამონტაჟებული.

შვეიცარიის ბევრ ქალაქში სამუშაოზე მისვლა ამ მოსრიალე ფეხსაცმელით უფრო სწრაფად შეიძლება, ვიდრე ავტომანქანით.

□

ინგლისში დაამზადეს საგანგებო ტანსაცმელი, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოიყენონ... გემის ჩაძირვის შემთხვევაში.

ამ თითქოსდა ჩვეულებრივ ტანსაცმელს, გაბერვა არ სჭირდება. იგი არა მარტო საიმედოდ ათბობს ცივ წყალში ჩავარდნილ ადამიანს, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს ჩაძირვის საშიშროებასაც.

□

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობიდან ხელის მოწერა არ შეუძლია... 250.000 ადამიანს, 200.000 ადამიანს კი მხოლოდ ხელის მოწერა შეუძლია და ამით მთავრდება მათი „განათლება“.

□

დასავლეთ გერმანიის ქალაქ კელნის ციხის პატიმარმა ვინმე ლაუენსტეინმა დაამზადა სითხე, რომელიც უკვალოდ შლის საფოსტო მარკებზე დარტყმულ შტემპელებს.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ლაუენსტეინმა კავშირგაბმულობის ხელმძღვანელებს წინადადება მისცა, რომ მისი გამოგონება, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს ყოველწლიურად 2 მილიონი მარკის ზარალი მისცეს, 100.000 მარკად შეიძინონ.

გამოძალვისა და შანტაჟის მოტივით, გამომგონებელი მაშინვე დააპატიმრეს.

„დროშის № 6-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ედისონი; 4. გასმანი; 9. ევროპა; 12. სერბია; 13. მონბლანი; 14. სტაჟი; 16. ირონია; 17. სეირი; 21. ანუი; 22. ლი; 23. არსი; 26. „არარატი“, 28. ტორერო; 30. კაფია; 32. შტურმი; 33. ლიფტი; 37. რამბულიე; 38. სტარტი; 39. რატინი; 40 ციმბალი; 41. ავიაცია.

შვეულად: 2. დარაბა; 3. ოკამი; 5. სესია; 6. ნობელი; 7. ჩელესტა; 8. გამბიტი; 10. ენერგია; 11. შაჰი; 15. ჟანდარმი; 18. ექსტერნი; 19. სიგარა; 20. ტაძარი; 24. სტიმული; 25. ლაკმუსი; 27. ტატამი; 29. არითმია; 31. ფინალი; 34. ფაკირი; 35. არიკა; 36. გერბი.

გადაეცა ასაწყობად 6/VI-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-77 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9 ტირაჟი 51860 შეკვ. 1972 უე 00752 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ჯემალ ლოლუა



მგონი, გრიპი გაქვთ, მაგრამ მაინც ეჩვენეთ ექიმს!



რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: კიდევ მოთხრობა მოგვიტანეთ?
მ წ ე რ ა ლ ი: არა, ბატონო, შარვალი მოგიტანეთ დასამოკლებლად!



ქველაფერზე თვალს ხუჭავდა და ჩაეძინა



— საკომისიოში ისეთი საყურეები იყიდება, ისეთ ძვირფასი, რომ..
— ძალიან გთხოვთ, ეგ ამბავი ჩემი ცოლის ყურამდე არ მიიტანოთ.



— ნაშთში 33 მანეთი მივიღე, მამი, და ოთხზე ველარა ვყოფ, რა ვქნა?
— ეგ რაღა გასაყოფია, შვილო, ჯიბეში ჩაიდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა












ИНДЕКС 76056